www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

კვირა, 10 ნოემბერი, 2002 წელი. №161

ფასი 50 თეთრი

## უცხოეთი

### სომხეთის მიმართ პოზიცია გამკაცრდება

*ყოფილი ისლამისტური პარტიის გამარჯვებამ თურქეთის საგარეო პოლიტიკის მომავლის შესახებ მრავალ ვარაუდს დაუდო საფუძველი. არჩევნებში გამარჯვებული "სამართლიანობისა და განვითარების პარტია", ჯერჯერობით, საერთაშორისო ვითარებაში გარკვევას ცდილობს და თურქეთის საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისათვის ემზადება.*

A3

### ევროპელი მემარცხენეები ერაყში ომის წინააღმდეგ

*გუშინ ფლორენციაში მთელი ევროპიდან შეკრებილმა ანტიგლობალისტებმა, მემარცხენეებმა, პაციფისტებმა და რელიგიური მიმართულების პარტიებმა 300-ათასიანი დემონსტრაცია გამართეს. ისინი გმობდნენ ამერიკის ომს ერაყის წინააღმდეგ.*

A3

## საზოგადოება

### გორელი მოსწავლეები დებატების წარმართვას სწავლობენ

*"ეს ბავშვები ძალიან მიყვარს. ვფიქრობ, ჩვენს ქალაქს, მათი სახით, შესანიშნავი თაობა ეზრდება. გული მწყდება, რომ მათთან, როგორც მასწავლებელს, ურთიერთობა აღარ მექნება", - ამბობს შიდა ქართლის პედაგოგთა ასოციაციის ხელმძღვანელი ნანა ნაბულიშვილი. ამ ურთიერთობის გაგრძელების სურვილი კი მასწავლებელსაც აქვს და მოსწავლეებსაც.*

A4

### „შიდსის ვაქცინა შექმნილია!„

*"ჩვენ შიდსის ვაქცინა შევიმუშავეთ!" - ასეთი განცხადება გააკეთა ამ დღეებში "იზვესტიაში" გამართულ "მრგვალ მაგიდაზე" რუსეთის იმუნოლოგიის სახელმწიფო სამეცნიერო ცენტრის დირექტორმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა რახიმ ხაიტოვმა. მისი სიტყვებით, ახალმა ვაქცინამ ბრწყინვალედ გაიარა ყველა წინაკლინიკური გამოცდა და ახლა ექიმები მისი კლინიკური გამოცდისთვის ემზადებიან.*

A4

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | |
| ქუთაისი | 22 | |
| ბათუმი | 23 | |
| სოხუმი | 18 | |
| ფოთი | 22 | |
| თელავი | 15 | |
| ზუგდიდი | 22 | |
| გორი | 13 | |
| ახმეტა | 15 | |
| ჭიათურა | 18 | |
| გაგრა | 17 | |
| სამტრედია | 22 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1950 |
| ევრო | 2.2020 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4367 |
| რუბლი | 0.0691 |

# ნინო ბურჯანაძე: „მე კიდევ დავბრუნდები ქვემო ქართლში...”



*ნინო ბურჯანაძეს ყველგან სიხარულით ხვდებოდნენ.*

თამარ ხორბალაძე

*ისეთი მადლიერი სამწყსო, როგორიც ქვემო ქართლის გუბერნატორს ლევან მამალაძეს ჰყავს, საქართველოში (და, ალბათ, არა მხოლოდ) მართლაც სანთლით არის საძებნელი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, რომელმაც გუშინ ქვემო ქართლის რაიონები, კერძოდ, გარდაბნის რაიონში მდებარე ბიოკომბინატი, ბოლნისი და მარნეული მოინახულა, ყველა დამხვდური ჯერ გუბერნატორს უქებდა და უდიდებდა, მერე - გამგებელს, მერე - უშუალო ხელმძღვანელს...*

*მართალია, გუბერნატორმა მამალაძემ ვიზიტის გეგმა პარლამენტის თავმჯდომარეს თავად შესთავაზა და ამ გეგმაში "სახიფათო" ობიექტები არ შესულა;*

*მართალია, ნინო ბურჯანაძეს "საბაობის" დღის ორი საათისთვის დანიშნულ დღესასწაულზე ისე მიეჩქარებოდა, რომ არათუ შემოთავაზებული გრაფიკისთვის გადახვევა და ხალხთან გასაუბრება, არამედ მასწავლებლებთან დაგეგმილი 15-წუთიანი შეხვედრაც სრულყოფილად ვერ მოასწრო;*

*მაგრამ ამას ვიზიტის გრანდიოზულობისთვის ჩრდილი სულაც არ მიუყენებია, პირიქითაც კი – მასპინძელი ლევან მამალაძე ამჯერადაც სიტუაციის სრული ბატონ-პატრონი გახლდათ და თავს, რითიც შეეძლო, ყველაფრით იწონებდა.*

მაგალითად, ტაბახმელას ბიოკომბინატით, რომელიც მეტად სახიფათო დაავადებების (ცოფის, ჯილეხის და სხვა) საწინააღმდეგო ვაქცინებს აწარმოებს უკვე წელიწადზე მეტია. სხვათა შორის, ეს კომბინატი ამიერკავკასიაში ერთადერთი ყოფილა და ლევან მამალაძეს ამ ვიზიტით სურდა, პარლამენტის თავმჯდომარე კომბინატისთვის საბიუჯეტო დაფინანსების გამოყოფის აუცილებლობაში დაერწმუნებინა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## „კონსტიტუციის 42-ე მუხლი” პარლამენტის წინააღმდეგ

ხათუნა ჯანგირაშვილი

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამი დღის წინ გამოტანილი გადაწყვეტილების მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, მანიფესტაციების, შეკრებებისა და მიტინგების დარბევის, აკრძალვისა თუ შეზღუდვის უფლებები ჩამოერთვათ. ამიერიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო აღარ არის უფლებამოსილი, არ მიიღოს მოქალაქეთა გაფრთხილება შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების შესახებ. კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას - მოქალაქეთა ნებისმიერ ადგილას შეკრებას, "შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონის რამდენიმე მუხლი ზღუდავდა და კრძალავდა. სწორედ ეს მუხლები ცნო საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად.

თუკი აქამდე კანონი ნებას რთავდა ადგილობრივ ორგანოებს, სხვადასხვა მიზეზების გამო, წინასწარი გაფრთხილების შემთხვევაში, არ მიეღო შეკრების ჩატარების თაობაზე გაფრთხილება და ადგილობრივი ხელისუფალნი უფლებამოსილნი იყვნენ, უკანონოდ მიეჩნიათ შეკრება, მიტინგი თუ მანიფესტაცია და შეეძლოთ შეეწყვიტათ ან პოლიციის გამოყენებით დაერბიათ იგი, საკონსტიტუციო სასამართლოს სამი დღის წინანდელი გადაწყვეტილებით, კანონი ადგილობრივ თვითმმართველობას ამ უფლებამოსილებას უკვე უუქმებს.

საქმე ისაა, რომ "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონის რამდენიმე მუხლი საკონსტიტუციო სასამართლოში არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წევრებმა გაასაჩივრეს და მოპასუხედ საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი გამოაცხადეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## მირცხულავა ენერგოკრიზისს „ეი-ი-ეს თელასს„ აბრალებს

*გუშინ, კანცელარიაში გამართულ თათბირზე სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი, სახელმწიფო მინისტრს, ენერგოსექტორში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის საღამომდე გამოსწორებას დაჰპირდა. დავით მირცხულავამ, ავთანდილ ჯორბენაძეს ეს პირობა ენგურჰესის სამი აგრეგატის ამუშავების, აზერბაიჯანიდან 50 მეგავატის, ხოლო სომხეთიდან – 100 მეგავატი ელექტროენერგიის მიღების იმედით მისცა. მირცხულავას ინფორმაციით, რუსეთის ენერგოსისტემასთან დამაკავშირებელი გადამცემი ხაზი "კავკასიონი" ხანგრძლივი რემონტის შემდეგ დღეს მწყობრში ჩადგება, თუმცა, რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის დაწყებისთვის ეს საკმარისი არ არის – რუსული მხარე ქართულისგან ძველი დავალიანების დაფარვას ითხოვს. სახელმწიფო მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე ორივე ფაქტი: კრიზისის შექმნაცა და რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის დაბრკოლებაც "ეი-ი-ეს თელასს" დაბრალდა, რომელიც, თავის მხრივ, ენერგოკრიზისს ხელისუფლების ზამთრისთვის მოუმზადებლობას მიაწერს და მირცხულავას დაპირებების არ სჯერა.*

გვანცა ქვინიკაძე

გუშინ სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე კატეგორიულად მოითხოვდა სპეციალური ენერგოკომისიის წევრებისგან, განსაკუთრებით კი, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრისგან იმ ღონისძიებების გატარებას, რომელიც მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგებაში ენგურჰესის გათიშვით შექმნილ პრობლემებს გადაჭრიდა. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის, დავით მირცხულავას განცხადებით, საქართველოს ელექტროენერგიით მომარაგება გუშინდელი საღამოდან, ენგურჰესის სამი ბლოკის გარდა, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდანაც უნდა დაწყებულიყო. მინისტრი ამ ორ მეზობელ ქვეყანასთან თითქმის გამზადებულ კონტრაქტებზე საუბრობდა. სამაგიეროდ, რუსეთთან იმპორტის შეფერხებას მინისტრი "ეი-ი-ეს თელასს" აბრალებს, რომელსაც, მისი თქმით, ელექტროენერგიის მოწოდების ძველი დავალიანება აქვს დარჩენილი. არადა, ქართველი ენერგეტიკოსები რუსეთიდან, ყოველდღიურად, 200 მგ ვატი ელექტროენერგიის მიღებას იმედოვნებენ. რუსეთთან მოლაპარაკებების ბედი, სავარაუდოდ, ორშაბათს გაირკვევა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## „ერთობლივი ძალებით ხელს შევუშლით თბილისის ჩაბნელებას”

*ის, ვინც თბილისს აბნელებს, პირველ რიგში, ახალი საკრებულოს ავტორიტეტს ლახავს-ასე ფიქრობს საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, "ნაციონალური მოძრაობის" წევრი გივი თარგამაძე. მისი თქმით, არ არის გამორიცხული, თბილისის გასანათებლად "ნაციონალურმა მოძრაობამ" ქუჩის აქციებს მიმართოს.*

სოფო ბუკია

**"დამეთანხმებით, საეჭვო დამთხვევაა: ენერგეტიკაში პრობლემა შეიქმნა მაშინ, როცა ამუშავდა თბილისის ახალი საკრებულო. ხელისუფლება მაქსიმუმს გააკეთებს, რომ დედაქალაქში, რაც შეიძლება, ბევრი პრობლემა იყოს. დენის გამორთვაც ამ სცენარის ნაწილია... ამჯერად თბილისის ჩაბნელებას "ეი-ი-ეს თელასს" ვერ დააბრალებენ, ამ შემთხვევაში სიხშირის ვარდნასთან გვაქვს საქმე,"** – განმარტავს თარგამაძე.

აქვე დეპუტატობის კანდიდატი იმისაც აცხადებს, რომ ენერგოსფეროში "აღმაშფოთებლად დასრულებული ტენდერების", კორუფციაში ჩაფლული მაფიოზი ენერგეტიკოსებისა და მწყობრიდან გამოსული ენერგოაგრეგატების ფონზე, თბილისის მოსახლეობის "აღშფოთების გამოწვევა ხელისუფლებას არ უნდა გაუჭირდეს.

რითი საზრდოობდა ენერგეტიკის მინისტრის საზაფხულო ოპტიმიზმი მომავალ ზამთართან დაკავშირებით, ანტიკორუფციული საბჭოს წევრმა არ იცის: **"ჯერ ზამთარი არ დაწყებულა და უკვე დენის მასშტაბური გამორთვები დაიწყო. სამწუხაროდ, ეს ზამთარი არაერთ "სიურპრიზს" გვიმზადებს."**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ახალ ქართულ იმედს ჟან-მარი გენო ჰქვია




*გაერო-ს გენმდივნის მოადგილე ჟან-მარი გენო თბილისში*

*გუშინ სოხუმში გაერო-ს გენმდივნის მოადგილესთან ჟან-მარი გენოსთან შეხვედრაზე აფხაზეთის დე ფაქტო ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ აფხაზეთი არ აპირებს "ბოდენის დოკუმენტის" განხილვას, რომელიც, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში, თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციური უფლებამოსილების გამიჯვნის პროცესის დაწყებას ითვალისწინებს.* ***"ჩვენთვის მისაღებია მხოლოდ ორი გზა: დამოუკიდებლობა ან რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობის დამყარება,"*** *– მოახსენა არშბამ ფრანგ დიპლომატს.*

ზაზა წულაძე

გაერო-ს გენმდივნის მოადგილისა და გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტის დირექტორის ჟან-მარი გენოს ოთხდღიანი ვიზიტი გუშინ თბილისში ქვეყნის უმაღლეს პირებთან შეხვედრებით დაიწყო. ბოლო შვიდი წლის მანძილზე ეს გაერო-ს ამ დონის მაღალჩინოსნის მეორე ვიზიტია საქართველოში, 1995 წელს, მაშინდელი გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის სტუმრობის შემდეგ.

გენოს ვიზიტი 4 ნოემბერს გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთის მიერ "ბოდენის დოკუმენტის" იგნორირების ფონზე მიმდინარეობს. ამის მიუხედავად, სახელმწიფო მინისტრ ჯორბენაძესთან, საგანგებო საქმეთა მინისტრ კაკაბაძესთან და აფხაზეთის დევნილი მთავრობის მეთაურ ნადარეიშვილთან (ამ შეხვედრის ინიციატივა საქართველოში გაერო-ს წარმომადგენლობას ეკუთვნოდა)

გაგრძელება A2 გვერდზე


A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 საზოგადოება

B2 კულტურა B3 განცხადებები B4 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს ორი წარმომადგენელი 16 ქვეყნის დელეგატთა შორის, მონაწილეობას მიიღებს სამხედრო სწავლებების - Cooperative Best Effort-2003-ის დაგეგმვის კონფერენციაში, რომელიც ერევანში 12-14 ნოემბერს გაიმართება.

როგორც პრაიმ-ნიუსს თავდაცვის სამინისტროში უთხრეს, საქართველო დაინტერესებულია, რომ ამ სწავლებებში, რომელიც სომხეთში პირველად შედგება, ორი ათეული გააგზავნოს.

ამასთან, როგორც მედიამაქსი იტყობინება, კონფერენციაში ასევე მონაწილეობას მიიღებს ნატო-ს სხვადასხვა სამეთაუროს 60 წარმომადგენელზე მეტი.

სწავლებების მიზანია მსუბუქ ქვეითთა ურთიერთქმედებათა ჩვევების გაუმჯობესება სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებისას, ასევე ნატო-სა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთგაგების განვითარება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კომპანია “ეი-ი-ეს თელასში” კვლავ “უმძიმესს” უწოდებენ დედაქალაქისათვის ელექტროენერგიის მიწოდებაში შექმნილ მდგომარეობას.

პარასკევს საღამოს მწყობრიდან გამოვიდა “ენგურჰესის” ბოლო ორი აგრეგატიც, რამაც საქართველოში ელექტროენერგიის მიწოდების პარალიზება გამოიწვია.

როგორც პრაიმ-ნიუსს “ეი-ი-ეს თელასიდან” აცნობეს, თბილისისათვის ელექტროენერგიის მიწოდება მოხერხდება იმის მიხედვით, თუ როგორ სიმძლავრეს მიაწვდიან “ეი-ი-ეს თელასს” “ენგურჰესიდან”.

“თელასის” ინფორმაციით, შაბათს 12 საათისათვის დაიტვირთა გლდანის კვანძი და ნავთლუღი ნაწილობრივ. 13 საათისათვის შეიზღუდება დიდუბის რაიონის და დიღმის ნაწილი, გამოთავისუფლებული სიმძლავრე კი, მუხიანის, ღრმაღელის და ავლაბრის დასახლებების ნაწილს მიეწოდება.

ამასთან, თუ შაბათს საღამოს სიმძლავრე არ გაიზარდა, დედაქალაქში კვლავ შენარჩუნდება პარასკევი საღამოს რეჟიმი, როდესაც თბილისის ერთ ნაწილს 18-დან 21-საათამდე მიეწოდებოდა ელექტროენერგია, დანარჩენს კი 21-დან 24 საათამდე.

“ეი-ი-ეს თელასის” მონაცემებით, შაბათს დედაქალაქის მთლიანი დატვირთვა მხოლოდ ღამის 01.00-დან დილის 7 საათამდე მოხერხდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია “დემოკრატების” წევრი მიხეილ მაჭავარიანი აცხადებს, რომ ფრაქცია “მრეწველები”, რომელმაც პარასკევს პარლამენტში მხარი არ დაუჭირა სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის პარამეტრების გარღვევის გამო, ჯორბენაძეს “ფოჩიან კამფეტებზე მიეყიდნენ”.

როგორც ჩანს, მთავრობამ “მრეწველებს” ფინანსური პრობლემები გადაუწყვიტა ან თანამდებობებს დაჰპირდა, - უთხრა პრაიმ-ნიუსს მიხეილ მაჭავარიანმა.

ამასთან, მისი თქმით, პარლამენტში პარასკევს მომხდარი ფაქტი არ იყო ჯორბენაძის ძლიერების დემონსტრირება, რადგან ყველა ხედავს, თუ რა მდგომარეობაშია მოსახლეობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე გუშინ ავარიულად გამორთული ორი აგრეგატიდან, ამ დროისათვის ერთი აგრეგატი სრული დატვირთვით მუშაობს, რომელიც 180-დან 200 მეგავატამდე ელექტროენერგიას გამოიმუშავებს. რაც შეეხება მეორე აგრეგატს, სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, მისი ამუშავება ნაწილობრივ მოხერხდა.

როგორც “ინტერ-პრესის” კორესპონდენტი შემთხვევის ადგილიდან იტყობინება, ჰიდროელექტროსადგურის მეორე აგრეგატი “უქმ ბრუნზე ტრიალებს” და, სავარაუდოდ, მისი სრული დატვირთვით ამუშავება დღეს საღამოსათვის მოხდება.

სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მესამე აგრეგატზეც, მაგრამ როგორც ენერგეტიკოსები აცხადებენ, მის აღსადგენად გარკვეული დრო იქნება საჭირო.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე გუშინ 15.00 საათისათვის ორი აგრეგატი ავარიულად გამოირთო, რომლებიც მესამე აგრეგატის სამი კვირის წინ ავარიულად გამორთვის გამო იძულებითი რეჟიმით მუშაობდნენ.

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურის მე-4 აგრეგატს, იგი რამოდენიმე წელია, მწყობრიდან არის გამოსული. **“ინტერ-პრესი”**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალციხეში “ორფოლოს” სამხედრო პოლიგონზე კვირას არტილერისტ ოფიცერთა საწვრთნელი-საბრძოლო სროლები ჩატარდება.

როგორც “ინტერ-პრესს” საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პრეს-სამსახურში აცნობეს, წვრთნებში მონაწილეობას სახმელეთო ჯარების მე-11 მექანიზებული მოტომსროლელი ბრიგადისა და საარტილერიო პოლკის სამხედრო მოსამსახურეები მიიღებენ.

საბრძოლო სროლები “წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის” ფარგლებში ჩატარდება და მას უშუალოდ ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები უხელმძღვანელებენ.

არტილერიის ოფიცერთა თეორიული მეცადინეობები 4 ნოემბერს დაიწყო, რომელშიც სულ 45 ოფიცერი მონაწილეობს. **“ინტერ-პრესი”**

■ ■ ■

**თბილისი.** გალის აფხაზურმა მილიციამ დღეს სოფელ ოტობაიაში 7 ნოემბერს დაკავებული რვა პიროვნება გაათავისუფლა.

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, გათავისუფლებამდე სოფელ ოტობაიაში დაკავებულების ნათესავებმა ვალმერ ბუთბას შეიარაღებული დაჯგუფების წევრებს გათავისუფლებისათვის ფული გადაუხადეს. იმავე წყაროს ცნობით, დღესვე ბუთბას დაჯგუფებამ გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებში საკონტროლო შემოვლა განახორციელა, რომლის დროსაც მოსახლეობას მიწის გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, მათ მიმართ მკაცრი ზომების გატარებით და დაკავებით დაემუქრა. ფულის უქონლობის გამო, გალის აფხაზური ადმინისტრაციის მიერ დაწესებული გადასახადის ნაცვლად მოსახლეობას თხილის ჩაბარებას აიძულებენ. გალის რაიონის სოფლებში ე.წ. მიწის გადასახადი 30-დან 50 კილოგრამამდე თხილს უტოლდება.

გასულ კვირას გალის რაიონში დაბრუნებული მოსახლეობის მიერ მიწის გადასახადის გადაუხდელობისათვის ბუთბას დაჯგუფებამ 32 მოქალაქე დააკავა. ადგილობრივთა მტკიცებით, დაკავებულთა გათავისუფლება გალში 10 ნოემბრისათვის დანიშნულ გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილის ჟან მარი გენოს სავარაუდო ვიზიტმა დააჩქარა. **“ინტერ-პრესი”**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ზესტაფონის პოლიციის სამმართველოს კომპლექსური შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსი ზაზა ძნელაძე ზესტაფონის პოლიციის სამმართველოს უფროსის ხვიჩა გუმბერიძის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის დასმას აპირებს.

ზესტაფონის პოლიციის სამმართველოს რევიზიას შს სამინისტროს სპეციალური კომისია ატარებდა. შემოწმების მიზეზი რაიონში ბოლო დროს კრიმინოგენული ვითარების გართულება გახდა, რის გამოც არაერთხელ მიეთითა ზესტაფონელ ძალოვნებს.

ზაზა ძნელაძის განცხადებით, ანალოგიურ ბედს უახლოეს დღეებში იმერეთის რეგიონის პოლიციის სხვა უფროსებიც გაიზიარებენ. **“ინტერ-პრესი”**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია “კონსტიტუციის 42-ე მუხლის” თავმჯდომარემ ლია მუხაშავრიამ განაცხადა, რომ პოლიციაში დაკავებულთა ცემის ფაქტები მომრავლდა. ამის გამო ის აღშფოთებას გამოთქვამს და შესაბამის ორგანოებს რეაგირებას სთხოვს.

26 ოქტომბერს გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის მე-5 ქვედანაყოფის მუშაკებმა ვაგზლის ტერიტორიაზე დააკავეს რაიონ ხუხუნი, რომელსაც 28 ოქტომბერს, ციხეში გადაყვანისას, სამედიცინო შემოწმების დროს სხეულზე ცემის კვალი აღმოაჩნდა.

პოლიციის განყოფილებებში ექვმიტანილთა ცემის ფაქტებთან დაკავშირებით აღშფოთებას სახალხო დამცველი ნანა დევდარიანიც გამოთქვამს და აცხადებს, რომ ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე, განყოფილებებში ცემის ფაქტების გამო, მარტო იმერეთის 11 რაიონში 225 პოლიციელია გათავისუფლებული. დევდარიანი იმედს ამყარებს რეგიონებში ამოქმედებულ სახალხო დამცველის რწმუნებულთა ინსტიტუტზე და პოლიციის განყოფილებებში დაკავებულთა ცემის ფაქტების შემცირებას ვარაუდობს. **“კავკას-პრესი”**

# ახალ ქართულ იმედს ჟან-მარი გენო ჰქვია

### თბილისში იმედოვნებენ, რომ გაერო-ს გენმდივნის მოადგილე აფხაზებს "ბოდენის დოკუმენტს" წაუკითხავს

პირველი გვერდიდან



ჰეიდი ტალიავინი და ჟან-მარი გენო

საუბრების დროს, ფრანგმა დიპლომატმა რამდენჯერმე გაუსვა ხაზი, რომ **“გაერო ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ-აფხაზური დიალოგის დაწყებას, სწორედ “ბოდენის დოკუმენტის” პრინციპების გათვალისწინებით”**.

ამასთან, საქართველოში გაერო-ს გენმდივნის სპეცწარმომადგენლის მოადგილე როზა ოტუნბაევა ალიარებს, რომ აფხაზური მხარე არ ცნობს “ბოდენის დოკუმენტს”. ამაში გუშინ სოხუმში ჩაფრენილი ჟან-მარი გენოც დარწმუნდა, როცა აფხაზეთის დე ფაქტო ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ პირდაპირ განუცხადა, რომ აფხაზებისთვის ამ დოკუმენტის სათაურიც კი მიუღებელია. **“სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ აფხაზური მხარე “ბოდენის დოკუმენტს” განსახილველად არ იღებს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ყველა გზა ჩაკეტილია და შესაძლებლობა - ამოწურული. მოლაპარაკების პროცესი არ არის მარტივი. ვიცით, რომ კონფლიქტი, უკვე წლებია, რაც გრძელდება და ადამიანების, პირველ რიგში, ლტოლვილების მოთმინებაც ზღვარზეა. ამიტომ ამ ფაქტის კონსტატაცია არც ერთ ჩვენთაგანს არ ახარებს, პირიქით, გვიბიძგებს ახალი შესაძლებლობების ძიებისკენ, რათა ამ დოკუმენტის განხილვა, რაც შეიძლება, დაჩქარდეს,”** – გვითხრა როზა ოტუნბაევამ.

გუშინ ვალერი არშბამ, გენმდივნის მოადგილესთან შეხვედრის დროს, მოულოდნელად ასევე მოითხოვა, რომ **“აფხაზეთში კონფლიქტის ამოწურვამდე, სამშვიდობო ოპერაცია მხოლოდ რუსეთის სამშვიდობო ძალებმა განახორციელონ”**. ნიშანდობლივია, რომ ეს განცხადება კეთდება იმ ფონზე, როცა თბილისი და საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფი აქტიურად მუშაობენ სამშვიდობო ფორმატის ინტერნაციონალიზაციაზე. რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ, უკრაინის შემდეგ, აფხაზეთში საკუთარი ჯარისკაცების გაგზავნა აზერბაიჯანმაც გადაწყვიტა. **“უკრაინელი ჯარისკაცების მონაწილეობის შემთხვევაში, აზერბაიჯანი უარს არ იტყვის აფხაზეთში საკუთარი ჯარისკაცების გაგზავნაზე. ჩვენ სამშვიდო ოპერაციებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა, უკვე გვყავს სამშვიდო ბატალიონი. საქართველოს თავდაცვის მინისტრისთვის ცნობილია ჩვენი პოზიცია,”** – ეს კომენტარი, აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანზე დაყრდნობით, ბაქოში გამომავალმა გაზეთმა “ექომ” გაავრცელა.

დღეს, შუადღისთვის ჟან-მარი გენო გალს ეწვევა, სადაც უსაფრთხოების ზონაში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას შეხვდება, საღამოს კი ზუგდიდში გადაინაცვლებს და რაიონში ლტოლვილების დასახლებებს მოინახულებს. ხვალ ფრანგი დიპლომატი უკვე თბილისში იქნება და ტეტ-ა-ტეტ შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს. **“ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბატონი გენოს ვიზიტი პოზიტიურ გავლენას იქონიებს 19 ნოემბერს, გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე “ბოდენის დოკუმენტის” განხილვაზე. საინტერესოა, რომ თბილისიდან გაერო-ს გენმდივნის მოადგილე, საქართველოში გაერო-ს გენმდივნის სპეცწარმომადგენელ ჰეიდი ტალიავინთან ერთად, მოსკოვში მიემგზავრება. ვფიქრობ, რუსეთის დედაქალაქში გამართული შეხვედრები დამატებითი არგუმენტი უნდა გახდეს აფხაზებისთვის, რათა “ბოდენის დოკუმენტის” განხილვას დათანხმდნენ,”** – ოპტიმიზმს არ კარგავს საგანგებო საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე.

# ნინო ბურჯანაძე: „მე კიდევ დავბრუნდები ქვემო ქართლში...“

პირველი გვერდიდან

თუმცა, გუბერნატორ მამალაძის სიამაყე განსაკუთრებულად მაინც სირაქლემებით საზრდოობს, რომლებსაც მხარეში სტუმრად მყოფი გაცილებით მეტი ცნობილი ადამიანი და მთავრობის წევრი ჰყავთ ნანახი, ვიდრე ბევრ ჩვეულებრივ მოკვდავს. ალარაფერს ვიტყვით სირაქლემების კვერცხებზე, რომელსაც “გაქართველებული” სირაქლემები ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ცოტას დებენ. შედეგად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს სირაქლემას ორი გახვრეტილი კვერცხი ერგო საჩუქრად. ხუმრობა იქით იყოს და, როგორც “საქმეში ჩახედულმა” მესირაქლემეებმა განაცხადეს, ამ კვერცხებისგან პარლამენტის თავმჯდომარეს მშვენიერი “განსხვავებული” სასმისის გაკეთება შეეძლება.

სხვათა შორის, მრავალისმნახველ სირაქლემებზე საპატიო სტუმრების ვიზიტს დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მართალია, სიამოვნებით გაეთამაშნენ გასაღებების აცმის მოჩხარუნე მხარის გუბერნატორს და ტელე თუ ფოტო კამერების წინაც მშვენივრად პოზირებდნენ, მაგრამ საკმარისი იყო, ვიზიტორები მანქანებში მოთავსებულიყვნენ, რომ მათ ზურგი შეაქციეს და კურტუმოს ქნევით ფერმის სიღრმისკენ უდრტვინველად გაემართნენ.

ფერმის მეპატრონეებმა და რაიონის წარმომადგენლებმა კი ნინო ბურჯანაძეს წყლის პრობლემის შესახებ ჩამოუგდეს სიტყვა. მხარის გუბერნატორმა ხატოვანი შედარებაც სცადა - **“სპრაიტით” ამ მიწების მორწყვა გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე არხებით გადმოყვანილი წყლითო.”** დამხვდურებმა პარლამენტის თავმჯდომარეს ამჯერადაც დაფინანსება სთხოვეს ან საგადასახადო შეღავათების დაწესება.

სირაქლემების ფერმიდან პარლამენტის თავმჯდომარე მარნეულის ღვთისმშობლის ტაძარს აახლეს, შემდეგ კი მარნეულის სარაიონთაშორისო საავადმყოფოს, სადაც ბატონმა მამალაძემ გინეკოლოგიური დიაგნოსტიკის აპარატურის ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა, გამოცდილ გინეკოლოგებს შეშურდებოდათ. აქვე აღმოჩნდა, რომ საავადმყოფოს პერსონალისთვის ნინო ბურჯანაძის ვიზიტის წინ ხელფასები საგანგებოდ დაურიგებიათ, რასაც პარლამენტის თავმჯდომარემ **“ხშირ-ხშირად ჩამოსვლის”** შეპირება დაახვედრა. ექიმებმა პარლამენტის თავმჯდომარის წინაშე სამედიცინო დაზღვევის თანხების დაგვიანების საკითხი დასვეს.

შემდეგი ობიექტი ბოლნისის დიაგნოსტიკური ცენტრი და პოლიკლინიკა გახლდათ, მომდევნო კი - ბოლნისის მოხუცებულთა სახლი, სადაც პარლამენტის თავმჯდომარეს ძალიან ეფერნენ და გულიანად ლოცეს... აქვე შვილების მიერ მიტოვებულმა მოხუცებულებმა ისიც შესჩივლეს: **“პენსია სულ 14 ლარი გვაქვს. ამ 14 ლარით ექვსი შვილის დახმარებას ვერ ვახერხებთ...”**

ამას მოჰყვა ახალაშენებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საფეხბურთო სტადიონები ბავშვებისთვის და არა მხოლოდ, საფეხბურთო სპორტსკოლა, დასასვენებელი პარკი, ახლადმოყრილი წითელი ქვიშით, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის “ბოლნელის” მართლაც მშვენიერი ცეკვა “მთიულური”...

საშუალო სკოლაში, დროის დეფიციტის გამო, მასწავლებლებს სააქტო დარბაზში წინასწარ დაკავებული ადგილების დატოვება და პარლამენტის თავმჯდომარესთან სკოლის ფოიეში სახელდახელო შეხვედრა მოუხდათ. თუმცა, მათ სპიკერთან ბევრი არ უწუწუნიათ. ერთადერთი - ატესტაციის შეჩერების თემა შეახსენეს: **“30 წელია, სკოლაში ვმუშაობ. ატესტაციის გავლა, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოვასწარი და ახლა მიზერულ ხელფასს ვიღებ...”** - შესჩივლეს ბურჯანაძეს, რომელმაც ამ საკითხის განხილვის დაჩქარების პირობა დადო.

**“სხვათა შორის, ჩვენი დეპუტაციის ინიციატივით გაიზარდა მასწავლებლების ხელფასები 30 პროცენტით. ქალბატონმა ნინომ ამ საკითხს მხარი დაუჭირა,”** - გუბერნატორმა მამალაძემ არც თავისთავს დაუკარგა ღვაწლი და კომპლიმენტი პარლამენტის თავმჯდომარესაც უძღვნა, რომელიც დამხვდურ საზოგადოებაში, მიუხედავად მათი პროფესიისა და ასაკისა, აშკარა სიმპათიითა და პატივისცემით სარგებლობდა.

“საბაობაზე” პარლამენტის თავმჯდომარეს გოგი ქავთარაძის რეჟისორობით და რუსთავის თეატრის მსახიობების მონაწილეობით შექმნილი მშვენიერი სანახაობა და კიდევ ერთი სიურპრიზი დახვდა - დღესასწაულზე მოპატიჟებული ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელმაც, ტრადიციისამებრ, დიდი სიამოვნებით დაიკავა ადგილი პარლამენტის თავმჯდომარის გვერდით.

“საბაობაზე” დაფუძნდა სულხან-საბას აკადემია, რომელიც ქართული მწერლობის სტიმულირებას დაისახავს მიზნად და რომელსაც მწერალი ნოდარ წულეისკირი ჩაუდგება სათავეში.

ვიზიტის მიწურულს, ნანახის და გაგონილის შეფასებისას, პარლამენტის თავმჯდომარე ტრადიციულად ზომიერი და კორექტული იყო:

**“მე მართლაც ვნახე ძალიან საინტერესო ობიექტები. ვფიქრობ, რომ არიან ადამიანები, რომლებიც რეალურად აკეთებენ საქმეს. ბევრი რამ გახლავთ გაკეთებული. არის პრობლემებიც, რომელთა განხილვას და გადაჭრას აუცილებლად შევეცდებით. გავაკეთებთ მაქსიმუმს, რის საშუალებასაც ბიუჯეტი მოგვცემს...”** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ და საგანგებოდ აღნიშნა: **“ალბათ, მე კიდევ დავბრუნდები ქვემო ქართლის რეგიონში, რადგან ყველა რაიონის და ყველაფრის ნახვა, რაც მაინტერესებდა, დღეს ვერ მოვახერხე...”**

# „ერთობლივი ძალებით ხელს შევუშლით თბილისის ჩაბნელებას“

პირველი გვერდიდან

გივი თარგამაძე აცხადებს, რომ ანტიკორუფციული საბჭოს უახლოეს სხდომაზე კატეგორიულად დააყენებს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, ვისი დახმარებითაც “ენერგოგადაცემა და დისპეტჩერიზაცია,” მათი გაერთიანებისა და ირლანდიური კომპანიისთვის გადაცემის შემდეგ, კვალიფიციური უცხოელი მენეჯერების ნაცვლად, ისევ კორუმპირებულ ენერგომამებს ჩაუვარდათ ხელში. **“გადაცემა-დისპეტჩერიზაციის” სამეთვალყურეო საბჭოში ძველი ენერგო მაფიოზები - მეტრეველი, ჩიქოვანი და სხვები მოხვდნენ. ამაზე პასუხი მოეთხოვება ქონების მართვისა და ენერგეტიკის სამინისტროებს.”**

თარგამაძე აცხადებს, რომ, თუ სხვა გამოსავალი არ მოიძებნა, “ნაციონალური მოძრაობა,” თბილისის მოსახლეობასთან ერთად, ალყას შემოარტყამს “დისპეტჩერიზაციის” შენობას და ძალით გამოიყვანს იქიდან მეტრეველსა და სხვებს.

უშუქობა, მისი თქმით, ხელს აძლევს პრეზიდენტ შევარდნაძის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებსაც, რადგან, ჩაბნელებული ქალაქის ფონზე, პრეზიდენტის ნათესავების ქარხნებს დენი დაუბრკოლებლად მიეწოდება. ხელისუფლება, რომელიც თბილისის საკრებულოს “ფონს უფუჭებს” და მიხეილ სააკაშვილის ტრიუმფალურ გამარჯვებას ვერ ეგუება, თარგამაძის პროგნოზით, მხოლოდ ენერგეტიკოსთა “დახმარებით” არ შემოიფარგლება. “ნაციონალების” აზრით, სულ მალე ხელისუფლების წარმომადგენლები ასეთივე წარმატებით შეუტევენ სასიცოცხლო მნიშვნელობის სხვა დარგებსაც. ერთადერთი ბერკეტი, რაც “ნაციონალურ მოძრაობას” ხელისუფლებასთან ბრძოლაში მოეპოვება – ხალხის მხარდაჭერაა. **“ჩვენ შევძელით ხალხის ხმების დაცვა. ერთობლივი ძალებით თბილისის ჩაბნელებასაც ხელს შევუშლით,”** – აცხადებს თარგამაძე.

## სამართალი

# „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ პარლამენტის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან



არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წევრები

მომჩივანთა აზრით, კანონი კონსტიტუციასთან შეუსაბამო იყო, რაც მიტინგების, შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს მომხდარი ხშირი გაურკვევლობის, დაზარალებულთა სიმრავლისა და უფლებაშელახულ მოქალაქეთა პრეტენზიების საფუძველი ხდებოდა. დარღვეული უფლებების დასაცავად, მოქალაქეები ხშირად მიმართავდნენ სასამართლოს თუმცა, მართლმსაჯულებაც სწორედ “მანიფესტაციებისა და შეკრებების შესახებ” კანონს იყენებდა და ამ კანონის საფუძველზე ადგენდა, ამა თუ იმ შემთხვევაში, დაარღვია თუ არა კანონი პოლიციამ, როდესაც დაარბია და არ მისცა მოქალაქეებს მიტინგის ჩატარების საშუალება. სწორედ ამ კანონზე დაყრდნობით ამართლებდა ხოლმე მართლმსაჯულება პოლიციელთა არაკონსტიტუციურ ქმედებას.

ერთი სიტყვით, საკონსტიტუციო სასამართლომ არასამთავრობო ორგანიზაციის სარჩელის საფუძველზე გააუქმა “მიტინგებისა და მანიფესტაციების შესახებ” კანონის სწორედ ის მუხლები და პუნქტები, რომლებიც კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა და ამით ადგილობრივ თვითმმართველობას ჩამოართვა ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლება ამა თუ იმ შეკრების არაკანონიერად გამოცხადების შესახებ. შესაბამისად, გაიზარდა მომიტინგეთა და შეკრებების მსურველთა უფლებები. სახელმწიფოს კი საკონსტიტუციო სასამართლომ მიტინგებისა და მანიფესტაციების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მათი დარეგულირება დააკისრა.

“აუცილებელი არ არის, სტრასბურგის სასამართლომდე მივიდეთ. ჩვენი უფლებები ჯერ ჩვენს ქვეყანაში უნდა დავიცვათ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ კანონმა დაგვიცვას. ასეთი კატეგორიის საქმეებზე ჩვენ სისტემატურად ვმუშაობთ და იმედი გვაქვს, რომ მივაღწევთ ისეთ შედეგებს, როგორსაც სამი დღის წინ მივაღწიეთ. სწორედ ასეთი გადაწყვეტილებები წაადგება ჩვენს სახელმწიფოს და მის ნებისმიერ მოქალაქეს”, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას არასამთავრობო ორგანიზაცია “კონსტიტუციის 42-მუხლის” თავმჯდომარემ ლია მუხაშავრიამ, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოზე დიდ იმედებს ამყარებს და, პარლამენტის მიერ მიღებული რამდენიმე კანონის გასაჩივრების გარდა, უახლოეს მომავალში, თავისი ორგანიზაციის იურისტებთან ერთად, პრეზიდენტის ერთ-ერთი ბრძანებულების გაპროტესტებასაც გეგმავს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ეკონომიკა

# მირცხულავა ენერგოკრიზისს „ეი-ი-ეს თელასს" აბრალებს

პირველი გვერდიდან



სახელმწიფო მინისტრთან გამართულ თათბირზე

მირცხულავა ამერიკული კომპანიის მიერ ძირითადი ვალდებულებების შეუსრულებლობაზეც საუბრობს, რაც "თბილსრესის" მეცხრე ენერგობლოკის აუმუშავებლობას და, აქედან გამომდინარე, საქართველოს ენერგოსისტემისთვის საბაზისო სიმძლავრის მოკლებას გულისხმობს.

**"ეს აბსურდული ბრალდებებია. რუსეთის ვალი "ეი-ი-ეს თელასს" კი არა, საბითუმო ბაზარს აქვს და ამას ოფიციალური წერილებიც ადასტურებს. რაც შეეხება მეცხრე ბლოკს, ჩვენ მისი ამუშავების არანაირი ვალდებულება არ გაგვაჩნია"** – აცხადებს "ეი-ი-ეს თელასის" ლობისტი ირაკლი მელაშვილი. იგი მიიჩნევს, რომ მსგავსი განცხადებებით სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ცდილობს, რაც მას აუცილებლად უნდა დაეკისროს ქვეყნის ენერგოსისტემის ზამთრის პერიოდისთვის არასათანადოდ მომზადებისთვის. **"თუ ბაზისური სიმძლავრე სჭირდებათ, რატომ არ რთავენ სახელმწიფოს კუთვნილ მესამე და მერვე ენერგობლოკებს, რომლებიც, როგორც აცხადებენ, სრულ მზადყოფნაშია?1",** — კითხულობს მელაშვილი. მისი პროგნოზით, სწორედ ამ მოუმზადებლობის წყალობით, წლევანდელ ზამთარში საქართველოს ენერგოსისტემა 50-60 პროცენტით დეფიციტური იქნება. "ეი-ი-ეს თელასის" ლობისტის აზრით, საეჭვოა, აგრეთვე, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ელექტროენერგიის მოწოდებაზე ხელშეკრულებების გაფორმებაც. მისი ინფორმაციით, სომხეთთან პრობლემებს ის ქმნის, რომ ეს ქვეყანა საქართველოს ერთთვიანი კონტრაქტის გაფორმებას სთხოვს, ქართული მხარე კი, მხოლოდ ათდღიანზეა თანახმა. რაც შეეხება აზერბაიჯანს, მელაშვილი იქიდან ელექტროენერგიის მოწოდებას შეუძლებლად მიიჩნევს იმის გამო, რომ უბრალოდ, შესაბამისი გადამცემი ხაზია დაზიანებული. გარდა ამისა, მელაშვილის თქმით, ენერგოკრიზისის დაძლევისთვის აუცილებელი ხარჯების გასაწევად არც ფინანსთა სამინისტროა მზად.

ვალდებულებების არარსებობის გამო, "ეი-ი-ეს თელასი" მეცხრე ბლოკის 15 ნოემბრისთვის ჩართვას არ აპირებს, როგორც ამას ამ კომპანიის ნაცვლად მირცხულავა დაჰპირდა ჟორბენაძეს. მელაშვილი ამ ბლოკის გაშვების სავარაუდო თარიღად ნოემბრის ბოლოს ასახელებს.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა სახელმწიფო მინისტრს მესამე და მერვე ენერგობლოკების ჩართვის თარიღის (1 დეკემბერი) გადაწევა შესთავაზა, რადგან, მისი თქმით, დეკემბრის დასაწყისში "კავკასიონიც" დატვირთული იქნება და საქართველოში ელექტროენერგიის სიჭარბე შეიქმნება. ასეთი სიტუაციის შექმნის შესაძლებლობა არც სახელმწიფო მინისტრმა და არც ენერგოკომისიის წევრებმა რეალურად არ მიიჩნიეს. ასე რომ, მირცხულავას დაპირებებისა და დავალებების შესრულებაზე დიდი ჯაფა მოუწევს.

## „მაკდონალდსი" სამი ქვეყნიდან მიდის

სწრაფი კვების გიგანტი "მაკდონალდსი" ოპერაციებს წყვეტს ახლო აღმოსავლეთისა და ლათინური ამერიკის სამ ქვეყანაში. კონკრეტულად რომელ სახელმწიფოებზეა საუბარი, კომპანია, ჯერჯერობით, არ ამხელს. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ მომავალი სამი წლის განმავლობაში იგეგმება ოპერაციების შეწყვეტა კიდევ 10 ქვეყანაში, რასაც 175 რესტორნის დახურვა მოჰყვება.

"მაკდონალდსის" ხელმძღვანელობა ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზად ასახელებს გაყიდვების შემცირებას ამ რეგიონებში, სადაც ეკონომიკურმა დეპრესიამ თავისი გავლენა სწრაფი კვების სფეროზეც იქონია. გარდა ამისა, კომპანიას პრობლემები შეუქმნა ძროხის ცოფის ეპიდემიამ იაპონიასა და ევროპაში. სპეციალისტთა თქმით, ყოველივე ამის გამო კომპანია უფრო ადრეც უნდა წასულიყო ხარჯშემცირებებზე, მაგრამ მთავარია, რომ ეს ადრე თუ გვიან, გაკეთდა.

საგანგაშო სიგნალმა "მაკდონალდსის" აქციონერთათვის ამ ორი კვირის წინ ჩამოკრა. მაშინ კომპანიამ განაცხადა, რომ "გარკვეული პრობლემების" გამო ახალი რესტორნების გახსნაზე უარს ამბობდა. თუმცა, როგორც გაირკვა, პრობლემები უფრო სერიოზულია.

## „ერიქსონი" რუსეთის სამხედრო მრეწველობაზე მუშაობდა?

კავშირგაბმულობის შვედური გიგანტი "ერიქსონი" ახალ დიდ სკანდალში გაეხვა. კომპანიის ხელმძღვანელობის მითითებით დაკავებულ იქნა ხუთი თანამშრომელი, რომელთაც საწარმოო შპიონაჟსა და უცხო ქვეყნისათვის საიდუმლო ინფორმაციის მიყიდვაში ედებათ ბრალი. უცხო ქვეყანა პირდაპირ არ სახელდება, თუმცა, ცხადზე უცხადესია, რომ საუბარია რუსეთზე, რადგან ამ საქმესთან დაკავშირებით სტოკჰოლმიდან გაძევება ემუქრება რუს დიპლომატს.

"ერიქსონი" ჩვენში ძირითადად მობილური ტელეფონებითაა ცნობილი, მაგრამ ამ კომპანიის საქმიანობა სამხედრო მრეწველობასაც მოიცავს. კერძოდ, შვედური გიგანტი აწარმოებს რადარებსა და რაკეტების მართვის სისტემებს, რაც, ცხადია, ინტერესმოკლებული არ უნდა ყოფილიყო რუსული რეზიდენტურისათვის.

გამოძიება ჯერ საწყის ფაზაში იმყოფება. თუმცა, პროკურატურამ უკვე მიმართა სასამართლოს თხოვნით, რომ ხუთი დაკავებულიდან სამს გაუგრძელონ წინასწარი პატიმრობის ვადა მძიმე ბრალდებებთან დაკავშირებით.

უცხოეთი

# სომხეთის მიმართ პოზიცია გამკაცრდება

ასეთია თურქეთის სამომავლო პოლიტიკის პროგნოზი

*ყოფილი ისლამისტური პარტიის გამარჯვებამ თურქეთის საგარეო პოლიტიკის მომავლის შესახებ მრავალ ვარაუდს დაუდო საფუძველი. არჩევნებში გამარჯვებული "სამართლიანობისა და განვითარების პარტია", ჯერჯერობით, საერთაშორისო ვითარებაში გარკვევას ცდილობს და თურქეთის საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისათვის ემზადება.*

გიორგი ხელაშვილი



გამარჯვებული პარტიის ლიდერი - რეჯებ ერდოქანი

თურქეთის არჩევნებში გამარჯვება, როგორც ცნობილია, "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიას ხვდა წილად, რომელიც თავისი ისლამისტური ფესვებით უფროა ცნობილი, ვიდრე ქვეყნის ეკონომიკისა და საგარეო პოლიტიკის აწყობის კარგად მოფიქრებული გეგმებით. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ არჩევნებში გამარჯვებული პარტია, ცოტა არ იყოს, დაბნეული ჩანს და დეტალურ საპროგრამო განაცხადს ჯერ არ აკეთებს. დაბნეულობაა თურქეთის პოლიტიკის ექსპერტებს შორისაც. ჯერჯერობით არავის გამოუთქვამს დამაჯერებელი პროგნოზი იმის თაობაზე, თუ რა გეზს აირჩევს თურქეთის მომავალი მთავრობა. თუმცა, რამდენიმე ვარაუდის გამოითქმა უკვე შეიძლება, თავად გამარჯვებული პარტიის განცხადებებზე და არჩევნების შედეგების მიმართ საერთაშორისო რეაქციაზე დაყრდნობით.

ნებისმიერ პარტიას, რომელსაც თურქეთის 3 ნოემბრის არჩევნებში გამარჯვება ხვდებოდა წილად, ქვეყნის წინაშე მდგარი ოთხი დიდი პრობლემა უნდა გადაეწყვიტა: ეკონომიკური კრიზისი, კვიპროსის საკითხი, ამერიკა-ერაყის შესაძლო ომი და ევროკავშირში თურქეთის ინტეგრაციის დაჩქარება.

უპირველესი ამოცანა, რომელიც ახალი მთავრობის წინაშე დგას, ეკონომიკური კრიზისის შედეგებთან გამკლავებაა. არჩევნებში გამარჯვებული პარტია, როგორც ჩანს, ამ საკითხში წინამორბედების აღებული კურსის შეცვლას არ აპირებს და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობას განაგრძობს. ფონდმა თურქეთს 16 მილიარდი დოლარის სესხი გამოუყო, რომელიც ჯერ კიდევ ასათვისებელია და ეს სწორედ ახალი მთავრობის შესასრულებელი იქნება.

სავალუტო ფონდის მიერ ამ სესხის გამოყოფა ვაშინგტონის უშუალო ჩარევით მოხერხდა. ეს იმას ნიშნავს, რომ თურქეთის ახალი მთავრობა, თუნდაც ისლამისტური, შეერთებული შტატების წინაშე იქნება პოლიტიკურად ანგარიშვალდებული.

ვაშინგტონზე ფინანსურ-პოლიტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, თურქეთის არჩევნების შედეგებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს თურქეთის განწყობაზე ამერიკა-ერაყის მოსალოდნელ ომთან დაკავშირებით. წინა მთავრობა, ბულენთ ეჯევითის ხელმძღვანელობით, ერაყის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, შეერთებული შტატების მხარეს თურქეთის მონაწილეობის წინააღმდეგი იყო. არჩევნებში გამარჯვებული პარტიაც ამ თვალსაზრისს იზიარებს. ალბათ, ამით აიხსნება, რომ ამჟამად ვაშინგტონში მყოფი, თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ოზქოქი ამერიკას მოუწოდებს, თავი შეიკავოს ერაყში შეჭრისაგან. ოზქოქი შეხვდა ამერიკის პოლიტიკური და სამხედრო ელიტის ყველა კონსერვატორ წარმომადგენელს – დიკ ჩეინის, დონალდ რამსფელდს, კონდოლიზა რაისს და გაერთიანებული შტაბების უფროსს, რიჩარდ მაიერსს. ამ შეხვედრების მიუხედავად, ოზქოქი თავისი აზრის ერთგული რჩება, თუმცა აღიარებს, რომ თურქეთსა და შეერთებულ შტატებს შორის აზრთა სხვადასხვაობის აღმოფხვრა ჯერ კიდევ შესაძლებელია. ოზქოქის პოზიცია ერთ რამეზე მეტყველებს – თურქი სამხედროები ახალი მთავრობის გვერდის ავლით რაიმე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას ერიდებიან და ჯერ თავადაც არ იციან, თუ რა კურსს აირჩევენ ყოფილი ისლამისტები.

რაც შეეხება კვიპროსის საკითხს, არჩევნებში გამარჯვებულები აქაც ტრადიციის ერთგულნი რჩებიან – მათი აზრით, კვიპროსი ერთიან სახელმწიფოდ უნდა ჩამოყალიბდეს, რომელსაც საფუძვლად ბელგიური ან შვეიცარიული მოდელი დაედება.

"სამართლიანობისა და განვითარების პარტია" ტრადიციის ერთგულია ისეთ საკითხშიც, როგორიცაა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება. თუმცა, ამ მიმართულებით თურქეთს, ალბათ, უფრო სერიოზული დაბრკოლებები ელის, ვიდრე მანამდე – ამ დაბრკოლებებს გაზრდის ის, რომ თურქეთის არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას ისლამისტური ფესვები აქვს. ამ მხრივ ყველაზე სიმპტომატური, ალბათ, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ვალერი ჟისკარ დ`ესტენის მიერ ამ დღეებში გაკეთებული განცხადება გახდა, რომლის მიხედვითაც ევროკავშირი, რომელშიც თურქეთი გაწევრიანდება, ევროკავშირი აღარ იქნება. ჟისკარ დ`ესტენის ამ მკვეთრი განცხადების შესაძლო შედეგებზე გუშინდელი "24 საათი" მოგითხრობდათ.

ერთი სიტყვით, თურქეთის არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა კვლავ ძველი, აპრობირებული საგარეო პოლიტიკური კურსის გაგრძელების ერთგულებას იჩემებს. მაგრამ თურქეთში მიმდინარე შიდა პოლიტიკურ პროცესებთან ერთად, ამ კურსის კორექტირება არ უნდა გამოვრიცხოთ. მით უმეტეს, რომ უახლოეს თვეებში თურქეთის შიდა ვითარება შეიძლება საკმაოდ დაიძაბოს, რადგან ისლამისტებსა და სამხედროებს ხელისუფლების გაყოფა ყოველთვის უჭირდათ. მით უმეტეს, თუ ევროკავშირის დეკემბრის სამიტზე თურქეთს უარს ეტყვიან ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებაზე.ამ შემთხვევაში ახალი მთავრობის ავტორიტეტი თურქეთში შეიძლება საგრძნობლად შეილახოს.

### "ახალი" თურქეთი და კავკასია

თურქეთის ახალი მთავრობისათვის, რასაკვირველია, წამყვანი მნიშვნელობა კვლავაც ევროკავშირში ინტეგრაციას მიენიჭება. მაგრამ "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიისათვის არც კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობა უნდა იყოს მეორეხარისხოვანი – უპირველეს ყოვლისა, ეს აზერბაიჯანსა და სომხეთზე ითქმის.

ზოგიერთი ცნობის მიხედვით, არჩევნებში გამარჯვებამდე ამ პარტიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ურთიერთობების შეცვლას აპირებენ სამ მეზობელ ქვეყანასთან – ირანთან, რუსეთთან და სომხეთთან. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ პარტიის არც ერთ წამყვან წევრს ამის შესახებ სიტყვაც აღარ დასცდენია. თუმცა ეს სიჩუმე, ალბათ, მხოლოდ დროებითი იქნება.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ალიევმა "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიის თავმჯდომარეს რეჯებ ერდოქანს არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან მეორე დღესვე დაურეკა და გამარჯვება მიულოცა. ერდოქანმა თბილად მიიღო ალიევის მილოცვა და თავის საუკეთესო სურვილებში დაარწმუნა. მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ თურქეთი მხარს დაუჭერს აზერბაიჯანის პოზიციებს "მისთვის ყველაზე მტკივნეული პრობლემის – მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის საქმეში".

უფრო შორს წავიდა ერდოქანის მოადგილე ბიულენთ არინჯი – აზერბაიჯანის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ თურქეთის ყოფილი მთავრობის დამოკიდებულება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ მეტისმეტად რბილი იყო და ეჯევითის მთავრობა პრობლემაზე ლაპარაკის მეტს არაფერს აკეთებდა. ახალი მთავრობა კი აუცილებლად გააააქტიურებს თავის პოლიტიკას აზერბაიჯანის მხარდასაჭერად. "არ ვისურვებდით აზერბაიჯანისთვის ხანჯლის ჩამცემი სომხების ამ ქვეყანაში დარჩენას. ჩვენ გვსურს, აზერბაიჯანელი ხალხი თავისუფალი და სუვერენული იყოს საკუთარ მიწაზე. ჩვენ გვსურს, სომხებმა დატოვონ ყველა ოკუპირებული აზერბაიჯანული ტერიტორია," – განაცხადა არინჯმა. მან გამორიცხა თურქეთის მხრიდან სომხეთის საზღვრის გახსნა იმ მოტივით, რომ "აზერბაიჯანის თავისუფლება და სუვერენიტეტი უფრო მნიშვნელოვანია".

სომხეთში მშვიდად ხვდებიან თურქეთში ყოფილი ისლამისტების ტრიუმფს. სომხეთის პარლამენტის დაშნაკი წევრები აცხადებენ, რომ "თურქეთის ახლანდელი მმართველები წინამორბედების პოლიტიკას გააგრძელებენ". სომხების აზრით, დღემდე კავკასიაში თურქეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა 1915 წლის სომხური გენოციდიდან ყურადღების გადატანა და რეგიონში გავლენის გაძლიერება იყო. ამ პოზიციას თურქები არ უღალატებენ. სომხეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დაშნაკი ხელმძღვანელები ოვანესიანი და რუსტამიანი მიიჩნევენ, რომ, თუ თურქეთი პოლიტიკას გაამკაცრებს, მაშინ სომხეთმაც შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს.

## ევროპელი მემარცხენეები ერაყში ომის წინააღმდეგ



დემონსტრაცია ფლორენციაში

გუშინ ფლორენციაში მთელი ევროპიდან შეკრებილმა ანტიგლობალისტებმა, მემარცხენეებმა, პაციფისტებმა და რელიგიური მიმართულების პარტიებმა 300-ათასიანი დემონსტრაცია გამართეს. ისინი გმობდნენ ამერიკის ომს ერაყის წინააღმდეგ და გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელიც, მათი აზრით, ამ ომს მწვანე შუქს უნთებს.

ამ დღეებში ფლორენციაში ევროპის საზოგადოებრივი ფორუმი მიმდინარეობს, რომელიც მემარცხენე მიმართულების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აერთიანებს. "ეს პირველი ნაბიჯია ომის შეჩერების გზაზე, - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, - როგორც იქნა, ევროპაში გამოჩნდა ახალგაზრდა მემარცხენე მოძრაობა."

პოლიციამ უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები მიიღო, თუმცა, დემონსტრაციამ მშვიდობიანად ჩაიარა.

## მოკლედ

**მოსკოვი**. რას იზამდით, ოქტომბრის რევოლუცია ახლა რომ ხდებოდეს? ამ კითხვით მიმართა სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრმა ქვეყნის მოსახლეობას 7-8 ნოემბერს.

გამოკითხულთა 23 პროცენტმა განაცხადა, რომ აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა რევოლუციაში, 20 პროცენტი – მხარს დაუჭერდა, 28 პროცენტი – დაელოდებოდა მოვლენების განვითარებას, 18 – ემიგრაციაში წავიდოდა და 8 – აქტიურ წინააღმდეგობას გაუწევდა ბოლშევიკებს.

კვლევის მეორე ნაწილში დასმულ კითხვაზე გამოკითხულთა 26 პროცენტმა განაცხადა, ბოლშევიკები რომ არ მოსულიყვნენ, ხელისუფლებას სხვა რომელიმე ექსტრემისტული ჯგუფი ჩაიგდებდა ხელში; 22 პროცენტის აზრით, რუსეთისათვის უკეთესი იქნებოდა მეფის ხელისუფლების შენარჩუნება; ამდენივემ განაცხადა, რომ ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი დასავლური დემოკრატიის მშენებლობა იქნებოდა.

■ ■ ■

**მოსკოვი**. მოსკოველმა რასისტებმა სასტიკად სცემეს განის ელჩი რუსეთში, გენერალი ფრენსის მაჰამუ. შვიდ ნოემბერს დიპლომატი და მისი მძღოლი მოსკოვის გამარჯვების პარკში სეირნობდნენ, როდესაც მათ შვიდი თავგადაპარსული ახალგაზრდა დაესხა თავს და სასტიკად გაუსწორდა. ელჩის თქმით, პარკი სავსე იყო ხალხით, თუმცა, ჩხუბში ჩარევა არავის უცდია. მოსკოვში აკრედიტებული აფრიკული დიპლომატიური კორპუსის თქმით, ბოლო სამ წელიწადში მათი საელჩოების თანამშრომლებს (ბუნებრივია, შავკანიანებს) 140-ჯერ დაესხნენ თავს. ოთხი შემთხვევა მკვლელობით დასრულდა. ამის თაობაზე 36 ქვეყნის ელჩმა პროტესტით მიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროს. დიპლომატები აცხადებდნენ, რომ პოლიცია ამგვარი შემთხვევების გამოძიებას გულგრილად ეკიდება და გაცილებით უფრო გულმოდგინედ ამოწმებს შავკანიანებს, აზიელებსა და კავკასიური წარმოშობის ადამიანებს, ვიდრე ე.წ. "სკინჰედებს".

საკვირაო საკითხავი

# ძველი და ახალი

## ლექსები

ზურაბ ლობჟანიძე

■ ■ ■

ქართველად დაბადებული,
ქართველად მომკალ გამჩენო,
სულში ღრმად დავანებული
სიტყვა მეპოვნოს საშენო.

### მურას

როგორ ვინატრო მე ძაღლის ბედი,
მაგრამ ხშირად ხომ გიყურებ შურით,
შენ ყველაფერი გაქვს ჩემზე მეტი,
თავისუფლებაც და ლუკმა-პურიც...
შენ მაინც ცხოვრობ, ძაღლურ ცხოვრებას
შეეჩვიე და ხარ კმაყოფილი,
მე კი ნეტავ რა მემახსოვრება,
გარდა ამ ბნელი, ყრუ საპყრობილის...
სადაც მაისის დილაც ღამეს ჰგავს,
არეულია ვარსკვლავთ დინება...
სად ლოცვის ნაცვლად წმინდა სამებას,
ესმის გმინვა და ოხვრა-გინება...
როგორ ვინატრო მე შენი ბედი,
მაგრამ ხშირად ხომ გიყურებ შურით,
შენ ყველაფერი გაქვს ჩემზე მეტი -
თავისუფლებაც და ლუკმა-პურიც!!!

■ ■ ■

როცა კაცი ხარ თავმდაბალი და თან სულგრძელი,
მავანს ჰგონიხარ - უვიცი და თანაც სულელი...
იმას კი ვერ გრძნობს, რომ მის ფარულ ფიქრსა და
აზრებს -
თვალდახუჭული გამოიცნობ მისსავე ხმაზე.
ის კი ჯიუტად - გაბღენძილი, ხეპრე და ბრიყვი -
ცდილობს კვლავაც შენს მოტყუებას გაცვეთილ
სიტყვით.
გაგელიმება, რა თქმა უნდა, ღიმილით მწარით
და შეუკურთხებ ამ ცხოვრებას, რომელიც არის -
გადატენილი ბრიყვითა და ბოროტის მქნელით.
რომელთ თვალები აქვთ ავსილი ნიანგის ცრემლით...

■ ■ ■

ღმერთო, ადამიანებს
რამდენნაირ ბედნიერებას აძლევ...
მე რაღას მერჩოდი, შე დალოცვილო?..
როგორც ბრმა მათხოვარმა,
ასე ხელის ფათურით როდემდე ვიარო დედამიწაზე?..

■ ■ ■

ადამიანო, რამ შეგაშინა,
რატომ თრთი, როგორც ხმელი ფოთოლი?..
ვერც გიპოვნია ამქვეყნად ბინა,
ვერც ააშენე კიბე-გოდოლი...
და მიმობნეულ ქვაღორღში მდგარი,
ნაცარწაყრილი, ტანზე ძონძებით, -
შეყმუი ზეცის ყრუდ დახშულ კარებს,
ნატრობ სიკვდილი როდის მოგძებნის!.

■ ■ ■

ღვინის ჭიქაში ჩამბალო,
შვილთაგან საქმის ნატრულო...
ვაი, შე მართლა საბრალოვ,
ზეცავ და მიწავ ქართულო...

■ ■ ■

ეკლესიებით,
აკლდამებითა და
ცათამბჯენებით
დამშვენებული
სანაგვეა
დედამიწა!..

■ ■ ■

მე მოველოდი ციხეს აუღებელს,
იქ კი ბავშვების სასაკლაო დამხვდა...
დავდივარ შეძრწუნებული,
ჩემი თავი მეზიზღება
და ლამის ვიყვირო -
ცხოვრებავ, უაზრობა უნდა გერქვას შენ!

■ ■ ■

დღეს საქართველო საგიჟეთს ჰგავს
გიჟებით სავსეს,
თანაც ყოველ გიჟს მამაღმერთი
ჰგონია თავი...
და მიცოდვილობს უკუღმართი
ცხოვრება ასე -
ჭირს გზის გაგნება და გარჩევა
თეთრის და შავის...

■ ■ ■

ხელგაწვდილი საქართველო -
მათხოვრებით სავსე!
ჩინოვნიკთა საქართველო -
ყაჩაღებით სავსე!
დგას უფალი და დაგვცქერის
სიბრალულით თავზე...

### კიბე...

თქვენ ვინა ხართ!
რომ წამომჯდარხართ რედაქციებში
და პოეტს სკამზე ჩამოჯდომასაც კი ამადლით...
თქვენ ვინა ხართ!
რომ წამომჯდარხართ გამომცემლობებში
და პოეტის დანახვაზე ათასნაირ ტყუილს ჩმახავთ...
თქვენ ვინა ხართ!
რომ წამომჯდარხართ მწერალთა სასახლეში
და პოეტის დანახვაზე უხერხულად იშმუშნებით...
დაგავიწყდათ?!:
ტაძარი უფლის არის და არა მწიგნობრების!..
თქვენც, უმაღლესო ხელისუფლებავ!
ნაპატივები ღაბაბებით მამათა საფლავებზე
თავები რომ მძიმედ დაგიხრიათ,
გულში კი რას ფიქრობთ ეშმაკმა უწყის...
დაგავიწყდათ?!:
რუსთველი გადაიხვეწა!
გურამიშვილი გადაიხვეწა!
ბარათაშვილი გადაიხვეწა!
ილია ტყვიამ მოკლა!
აკაკი გაჭირვებამ!
ვაჟა ჭლექმა!
გალაკტიონი გაუტანლობამ!
ტიციანი წითელმა ურჩხულმა ჩაყლაპა!
ტერენტი გაგიჟდა!
თქვენ ვინა ხართ, ვინ!

# ნიკა

## ნოველა

ზაურ გომართელი

რევიზორ-ბუღალტერი ბევრი მინახავს და გამიგია. რეჟისორ-ბუღალტერი, ნიკას გარდა, არც შემხვედრია და არც გამიგია...

ნიკა ხან ბუღალტრად მუშაობდა, ხან კი - რეჟისორად. ბოლოს დახურული ბაზრის ბუღალტრობას საჩხერის კულტურის სახლის დირექტორობა ამჯობინა და თბილისიდან მშობლიურ რაიონში გადაბარგდა. თავის უცნაური ხასიათისა და იუმორის გამო ნიკა ბევრს უყვარდა რაიონში. ცოტას სვამდა, მაგრამ ყოველდღე ღვინის ჭიქა ეჭირა ხელში და ახარებდა თავის ჭიას. ქალების მიმართაც არ იყო მთლად გულგრილი. მოგეკლა და საოჯახო საქმე გაგეკეთებინებინა. ის კი არა, ზამთარში, რომ გაყინულიყო, ცეცხლს არ დაანთებდა ბუხარში. ყველაფერზე პასუხისმგებელი მისი ცოლი გახლდათ. ქალბატონი თამარი ახალგაზრდობიდან კავშირგაბმულობაში მუშაობდა და ამ დარგში დამსახურებულ ადამიანად ითვლებოდა. მუდამ კოხტად ჩაცმულ-გამოპრანჭული ნიკა ან კულტურის სახლში იყო, ან სადმე რესტორანში. როგორც პროვინციელ ინტელიგენტებს სჩვევიათ, ნიკაც სისტემატურად კითხულობდა გაზეთებს, უცხოურიდან ნათარგმნ ნაწარმოებებს. ასე რომ, იგი განათლებულ კაცად იყო ცნობილი.

უცნაურობა არ ასვენებდა ამ გაორებულ კაცს...

აიჩემა, ქათამი უნდა გავწრთვნაო. ჭრელი ვარია ამოარჩია და დაიწყო სწავლება. რამდენიმე თვის შემდეგ ნიკა და ქათამი ერთად დადიოდნენ სამსახურში. ქათამს ნიკამ კოლმეურნეობის თავმჯდომარის სახელი დაარქვა. აბა, გერვასი, წავედით ახლაო და შარაგზაზე გავიდოდა. შემხვედრნი ღიმილით აყოლებდნენ ორ მეგობარს თვალს. ნიკა ხუმრობდა: გერვასის რომ მოხსნიან თავმჯდომარეობიდან, მერე ჩემი გერვასი ავირჩიოთ, სულ ერთი არ არისო?..

ერთხელ ნიკამ კულტურის სახლის მომღერალი ქალები დაიბარა. გამოპრანჭული ქალბატონები თავის დროზე მოვიდნენ, შევიდნენ დარბაზში და რას ხედავენ: შუა სცენაზე კუბოში გულხელდაკრეფილი წევს ნიკა. ატყდა ერთი კივილი და ფაციფუცი. ზოგმა თმების გაშლაც კი დაიწყო. სცენაზე ღიმილით შემოვიდა დამლაგებელი ოლია. ნუ გეშინიათ, ქალებო, ხუმრობს ეს არგადასარჩენიო. ყველა დროებით მიცვალებულს მიჩერებოდა. ნიკამ ვეღარ მოითმინა ამდენი და სიცილი აუტყდა. უყურე ერთი ამას, რავა გაგვაბითურაო, წამოიძახეს ქალებმა და ატეხეს ერთი ალიაქოთი.

ნიკა, როგორც იქნა, წამოდგა. ტანსაცმელი გაისწორა, სკამზე ჩამოჯდა და ქალებს მიმართა: რა იყო, თქვე შეჩვენებულებო, მინდოდა გამეგო, როგორ მიტირებდითო. მოდით ახლა, აგერ სუფრა მაქვს გაშლილი და წავიქეიფოთო. კულტურის სახლიდან საღამომდე ისმოდა სიმღერები...

ეს კიდევ არაფერი... ორმოცდაათს გადაცილებულმა ნიკამ პარტიის რიგებში შესვლა გადაწყვიტა. დაწერა განცხადება და მიართვა რაიკომს. რაღა დროს შენი პარტიაში შესვლააო, უთხრეს. სად წერია, რომ არ შეიძლებაო, უპასუხა ნიკამ და დაამატა, ჩემსას მაინც გავიტანო. გაიტანა კიდეც. პარტიაში მიიღეს.

მაშინ ოქტომბრის რევოლუციის ყოველ წლისთავს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები დიდი ზეიმით აღნიშნავდნენ. პატარ-პატარა ზეიმები რაიონულ ცენტრებშიც იმართებოდა. ოქტომბრის ზეიმია საჩხერეშიც. მწყობრად მოდიან რაიონის მშრომელები, მოსწავლე-ახალგაზრდობა, მუშები, კოლმეურნეები. კოლონა კოლონას მისდევს შეძახილებით, სიმღერებით. პატარა ტრიბუნაზე გამოჯგიმულა ადგილობრივი ხელმძღვანელობა. ტრიბუნას მიუახლოვდნენ რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები ორდენებით მკერდდამშვენებული ნიკას მეთაურობით. ხელმძღვანელები განსაკუთრებული ღიმილითა და ტაშით შეეგებნენ ამ ჯგუფს. შეხედეს ნიკას და გაკვირვებულებმა ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს. პირველ მდივანს სახე მოეღუშა. მისი უგუნებობა იმწამსვე გადაედოთ დანარჩენებს... რა ხდება, - უკვირდათ საჩხერლებს, - რამე ფარცაგი ხომ არ მოხდაო?..

მეორე დღეს ნიკა საჩქაროდ დაიბარეს რაიკომში. სასწრაფოდ მოწვეული ბიუროს წევრები გაბრაზებულნი შეხვდნენ თავიანთ პარტიის წევრს.

ბიუროს სხდომა პირველმა მდივანმა გახსნა. ამხანაგებო, უნდა ვთქვა, რომ გუშინდელმა დღესასწაულმა მაღალპოლიტიკურ დონეზე ჩაიარა. ყველაფერი კარგად იქნებოდა, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი რომ არ მომხდარიყო, ამის მიზეზი კი გახლავთ ჩვენი პარტიის წევრის დაუდევარი საქციელი. კი მაგრამ, ამხანაგო ნიკა, ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ მთავრობის არც ერთი ჯილდო არ გაგაჩნიათ, თქვენ კი ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებულმა ჩაიარეთ გუშინ ტრიბუნის წინ. იცით, ეს რას ნიშნავს, მაგის გულისათვის შეიძლება ყველა გაგვყარონ სამსახურიდან. ახლა გეკითხებით, ვისი იყო ის ორდენები და მედლები?! ნიკა ღიმილით ათვალიერებდა ბიუროს წევრებს. შემდეგ ჩაახველა და ნელი ხმით დაიწყო:

- ჯილდოები, რომლებიც მეკეთა გუშინდელ ზეიმზე, ჩემი მეუღლისა გახლავთ.

ბიუროს წევრებს სახეებზე ღიმილმა გადაუარა. მხოლოდ პირველი მდივანი იჯდა პიტალოსავით.

- მერედა, რა შუაში ხარ შენ, სხვისი ჯილდოებით რომ თავი მოგაქვს? - ხმას აუწია პატარა დიქტატორმა.

ნიკას ალმური მოედო... რა ვიცი, ბატონო, თქვენ წესდებაში წერია, საერთოა ყველაფერიო. ჩემი და შენი არ არსებობსო, დღე და ღამე ამას გვიჩიჩინებთ. ჩემი და თამარას ქონება ვინ გაყო. ამდენი წელია, ლოგინში ერთად ვხანხვალობთ, თქვე კაი ხალხო, და რა გახდა ეს ორდენები? - ეს თქვა ნიკამ, გულისჯიბიდან მანდატი ამოიღო, მაგიდაზე დაახეთქა და ბიუროს წევრებს მიმართა: - ამნაირი თუა ეს თქვენი პარტია, აღარ მინდა მისი წევრობაო, - კარები გაიჯახუნა და სწრაფად ჩაირბინა კიბეები. წლების მანძილზე ბევრს ემუდარნენ ნიკას, მანდატი უკან წაეღო, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. რაიკომი თვითონ იხდიდა ნიკას საწევროს ჩუმად, რომ ზევით არაფერი გაეგოთ. ასეთი იყო ბიძაჩემი ნიკა.

# გორელი მოსწავლეები დებატების წარმართვას სწავლობენ

*"ეს ბავშვები ძალიან მიყვარს. ვფიქრობ, ჩვენს ქალაქს, მათი სახით, შესანიშნავი თაობა ეზრდება. გული მწყდება, რომ მათთან, როგორც მასწავლებელს, ურთიერთობა აღარ მექნება", - ამბობს შიდა ქართლის პედაგოგთა ასოციაციის ხელმძღვანელი ნანა ნაბულიშვილი. ამ ურთიერთობის გაგრძელების სურვილი კი მასწავლებელსაც აქვს და მოსწავლეებსაც.*

ვასილ გულეური

შიდა ქართლის პედაგოგთა ასოციაციამ "განათლება XXI" დაასრულა პროექტი "თვითმმართველობის პოპულარიზაცია ახალგაზრდობაში", რომელიც განხორციელდა "საქართველოს მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების პროექტის" ფინანსური მხარდაჭერით. ქალაქის სკოლების მოსწავლეებს შორის ჩატარდა გასაუბრება იმის გასარკვევად, თუ რამდენად იყვნენ დაინტერესებული თვითმმართველობის საკითხებით. შეირჩა 30 მოსწავლე, რომლებიც კვირაში ოთხ დღეს ხვდებოდნენ ერთმანეთს, ეცნობოდნენ თვითმმართველობის კომპეტენციას, ადამიანის უფლებებს, დებატების წარმართვას, სწავლობდნენ ინტერნეტში მუშაობას.

"ბავშვები აქ მოვიდნენ გარკვეული ცოდნით, სკოლაში მუშაობისას ორიენტაცია ავიღეთ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე", - ამბობს ქალბატონი ნანა ნაბულიშვილი: "ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ჩანს მათ მიერ ჩატარებულ დებატებში - დახვეწილი, შინაარსობრივად საინტერესო, ოპონენტისადმი კეთილგანწყობილი, რაც ძალზე იშვიათია დღეს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა შორის."

მოსწავლეები ქალაქის საკრებულოს სხდომასაც დაესწრნენ. საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნებიც აქვთ, თუ როგორ უნდა წარიმართოს იგი უკეთესად. თვლიან, რომ დებატებში მოწინააღმდეგის აზრის მოსმენა მნიშვნელოვანია და კამათის ხელოვნებას სწავლა სჭირდება. ეს მარტო პოლიტიკოსებმა კი არა, ჟურნალისტებმაც უნდა გაითვალისწინონ, - ასე ფიქრობენ ისინი.

პროექტის შედეგებზე საუბრისას თვით მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ მათ არა მარტო ადამიანის უფლებები და დებატების წარმართვა შეისწავლეს, ახალი მეგობრებიც შეიძინეს და ამ ურთიერთობას შემდგომშიც გააგრძელებენ. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, ალბათ, ახალგაზრდები თუ შეძლებენ.

# შავი ჭირი ნიუ-იორკში

მაკა ჯაიანი

ოთხშაბათს, ნიუ-იორკის სამედიცინო ცენტრ "Beth Israel"-ში ორი ადამიანი შავი ჭირის დიაგნოზით მოათავსეს. მიკრობიოლოგიურმა ტესტებმა დაადასტურა, რომ მათ ე.წ. ბუბონური ჭირი ჰქონდათ. დაავადება ნიუ-იორკში შვებულებით ჩამოსულ ნიუ-მექსიკელ ცოლ-ქმარს დაუდგინდა. 47 წლის ქალს საფრთხე არ ემუქრება, მისი 53 წლის მეუღლე კი ძალზე მძიმე მდგომარეობაშია. საავადმყოფოში იგი 40,5 გრადუსი სიცხით მიიყვანეს. ინფექციის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, პაციენტები სტაციონარის იზოლატორში არიან მოთავსებულნი. ახლა ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტი, აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრთან ერთად, ინფიცირების გზებს იკვლევს. დეპარტამენტი იტყობინება, რომ შავი ჭირი დაავადებული ცოლ-ქმრის მიწაზე დაჭერილ ბევრ მღრღნელს აღმოაჩნდა. ექიმები ვარაუდობენ, რომ ოჯახურ წყვილს სენი მას შემდეგ შეეყარა, რაც ღამე გარეთ, საძილე ტომრებში გაატარა.

შავი ჭირი ყველაზე საშიშ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება. არც ერთ ომს არ წაულია იმდენი სიცოცხლე, რამდენიც მან შეიწირა. "წარმოშობით" აზიურმა ამ დაავადებამ ევროპის მოსახლეობის მესამედი შეიწირა. ნიუ-იორკში შავი ჭირის ბუბონური ფორმა, უკვე რამდენიმე ათეული წელია, არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება მსოფლიოს, 20-30 მისი შემთხვევა ყოველწლიურად აღინიშნება. ეს ახლა, თორემ მეთოთხმეტე საუკუნეში დასავლეთ ევროპაში შავი ჭირით 25 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა, ჩინეთში - 35 მილიონი. 1346 წელს მან კავკასიასა და ყირიმსაც მიაღწია. ერთ წელიწადში სიკვდილი კონსტანტინეპოლსა და ალექსანდრიაშიც მეფობდა, კიდევ ერთ წელიწადში მისგან ყოველდღიურად ათასი ადამიანი იღუპებოდა. დღეს შავი ჭირი იკურნება, მაგრამ ეს მისი ადრეული დიაგნოსტიკისას არის შესაძლებელი. სხვა შემთხვევაში ყველაფერი, ძველებურად, სიკვდილით მთავრდება.

შავი ჭირის ბოლო შემთხვევა საქართველოში 1924 წელს დაფიქსირდა. ჩვენთან ამ დაავადების ბუნებრივი კერებიც არსებობს. ეს, ძირითადად, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსაზღვრე დაუსახლებელი ტერიტორიებია. დაავადებათა კონტროლის ქართული ცენტრის ინფორმაციით, იქაური მღრღნელები ყოველწლიურად მოწმდება და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კერა აქტიური არ არის.

# „შიდსის ვაქცინა შექმნილია!"

*"ჩვენ შიდსის ვაქცინა შევიმუშავეთ!" - ასეთი განცხადება გააკეთა ამ დღეეებში "იზვესტიაში" გამართულ "მრგვალ მაგიდაზე" რუსეთის იმუნოლოგიის სახელმწიფო სამეცნიერო ცენტრის დირექტორმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა რახიმ ხაიტოვმა. მისი სიტყვებით, ახალმა ვაქცინამ ბრწყინვალედ გაიარა ყველა წინაკლინიკური გამოცდა და ახლა ექიმები მისი კლინიკური გამოცდისთვის ემზადებიან.*

რუსების განცხადებით, ეს არის ახალი თაობის პრეპარატი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. იგი ე.წ. "პოლიაქსიდენტების" ჯგუფს მიეკუთვნება და ადამიანის იმუნურ სისტემაზე მოქმედებს. სწორედ იმუნური სისტემის დათრგუნვა წარმოადგენს ყველაზე საშიში დაავადებების - ტუბერკულოზის აგრესიული ფორმების, "C" ჰეპატიტის, ონკოლოგიური სნეულებებისა და, რაღა თქმა უნდა, შიდსის განვითარების საფუძველს. შიდსის საწინააღმდეგო საშუალებების შექმნას ართულებს ის, რომ ვირუსი ადამიანის გენომში აღწევს და უჯრედებში მაგრდება. არსებობს წამლები, რომლებიც დაავადების პროგრესირებას აბრკოლებს, ვირუსი, თითქოს, ქრება კიდეც სისხლიდან, მაგრამ გენომიდან მისი მთლიანად განდევნა შეუძლებელია. როგორც კი პრეპარატის მოქმედება წყდება, დაავადება თავის დამანგრეველ საქმეს აგრძელებს. ვაქცინამ ეს პრობლემა უნდა მოაგვაროს.

რამდენად შეესაბამება სიმართლეს რუსი მეცნიერების ეს ხმაურიანი განცხადება, 3-5 წელიწადში გახდება ცნობილი. დაახლოებით, ამდენია საჭირო კლინიკური გამოცდისთვის. ოფიციალური მოთხოვნები კვლევის პროტოკოლის შედგენასა და მისი შედეგების საერთაშორისო ექსპერტების დონეზე დამტკიცებას გულისხმობს. შიდსისა და სხვა ინფექციების საკითხებზე მომუშავე ექსპერტების აზრით, გამორიცხული არ არის, რუსეთის მედიაში გავრცელებული ცნობა, შიდსის ვაქცინის გამოგონების შესახებ, ჟურნალისტების მიერ იყოს გაზვიადებული. "მსოფლიო მხოლოდ მიესალმება ასეთ ახალ ამბავს, მთავარია, კლინიკურმა კვლევებმა სასურველი შედეგი გამოიღოს", - აცხადებენ ისინი.



www.24hours.ge 24 B

# ჩვენი სტუმარი - ლოთარ მათეუსი

გაზეთ "24 საათის" ექსკლუზიური ინტერვიუ ლოთარ მათეუსთან






*ლოთარ მათეუსი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც გუნდისთვისაც სასარგებლო იყო და, თან, ინდივიდუალობასაც ინარჩუნებდა. მას ჟურნალისტები გუნდის გარეშე მოიხსენიებდნენ, რადგან ყველასგან განსხვავებული იყო. "ოქროს ბურთის" მფლობელთა შორის კი იმით გამოირჩეოდა, რომ, ამ ჯილდოს მოპოვებისას, კონკურენტები დიდი სხვაობით დაამარცხა. მათეუსს, თავისი თამაშით, ყველა აღფრთოვანებაში მოჰყავდა.*

*ლოთარ მათეუსს გაზეთ "24 საათის" კორესპონდენტი, **ნინო პირველი** ესაუბრა, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში შეხვედრისას ესაუბრა.*

## მათეუსი და ფეხბურთი

- დღეს ფეხბურთში ცუდი ვითარებაა. ეს იმითაც გამოიხატება, რომ ბევრი ახალგაზრდა ფულისთვის იწყებს ფეხბურთის თამაშს. აქ ხომ უკვე დიდი ფულის შოვნა შეიძლება. ზოგიერთის აზრით, ეს ასეც უნდა იყოს. მე კი მგონია, რომ ფეხბურთელისთვის ფული უმთავრესი არ უნდა იყოს. მესმის, რომ ეს სამუშაოა, გაწეული სამსახურისთვის კი ანაზღაურება უნდა მიიღო, მაგრამ არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტისას ფულმა მთავარი როლი არ უნდა შეასრულოს.

**- როგორ ფიქრობთ, სადამდე შეიძლება გაგრძელდეს ფეხბურთელთა სატრანსფერო თანხებისა და მათი ხელფასების ზრდა?**

- ამაზე ბევრი მიფიქრია, მაგრამ პასუხი ვერ ვიპოვე. ოდესმე, ალბათ, დაწესდება ზღვარი ან, უბრალოდ, გუნდებს აღარ ექნებათ მეტის გადახდის საშუალება და ეს ზრდა თავისთავად შეჩერდება. იტალიასა და სხვა ქვეყნებში წლეულს დატრიალებული მოვლენები, გარკვეულწილად, ამაზე მიგვანიშნებს. ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია და ამიტომ მინდა, მას ნამდვილი ფეხბურთელები, სპორტსმენები თამაშობდნენ და არა ფულს დახარბებული ადამიანები, რომლებიც საფეხბურთო და საკლუბო ფასეულობებს არაფრად აგდებენ.

**- ყოველთვის ასეა - ვეტერანები, უმეტესად, აკრიტიკებენ ახალგაზრდა თაობას. ამბობენ, რომ ფეხბურთი ის აღარ არის, რაც იყო მაშინ, როცა ისინი თამაშობდნენ...**

- არა, რატომ? იმ მოხუცივით ნამდვილად არ ვარ, რომელსაც მომავალი თაობისა არაფერი მოსწონს. მე მიყვარს ფეხბურთი და ყველა ის ადამიანიც, ვისაც სპორტის ეს სახეობა უყვარს.

**- თქვენ სწრაფად გახდით ლიდერი. როგორ გრძნობდით თავს ლიდერის როლში, როცა თქვენზე უფროს ფეხბურთელებს წინამძღოლობდით?**

- ვერ ვიტყვი, რომ ბუნებით ლიდერი ვარ. უბრალოდ, ყოველი მატჩის წინ ძალიან მინდოდა გამარჯვება. ამის მისაღწევად მზად ვიყავი, მარტო მე კი არ გამელო ყველაფერი, არამედ სხვებიც ამეყოლიებინა - მხარი მეკრა, რაღაც მეთქვა, რათა მათაც ყველაფერი გაეღოთ მოსაგებად. იმ საათნახევრის განმავლობაში, რასაც მოედანზე ვატარებდი, მეტოქეს ვერ ვიტანდი. შეგნებულად არასდროს ვუხეშობდი, მაგრამ თამაშის დროს მზად ვიყავი, მეტოქისთვის ყველანაირად შემეშალა ხელი, რომ ვერც გოლი გაეტანა და ვერც საჯარიმოს მიახლოებოდა. ძალიან ბევრს ვთამაშობდი ჯარიმის ზღვარზე და ეს, უმეტესად, ამართლებდა.

## მათეუსი და მწვრთნელის კარიერა

მათეუსი საქმისადმი პროფესიული მიდგომის ნიმუშია. სპორტული რეჟიმის დაცვის საქმეში ის უნაკლოა. ეტყობა, ამიტომაც იყო, რომ მისი ყველას სჯეროდა და დღესაც სჯერა.

"მას შემდეგ, რაც წელიწადნახევრის წინ ფეხბურთს შევეშვი, ჩემთვის სხვა, სამწვრთნელო ცხოვრება დაიწყო. ერთი სეზონი ვენის "რაპიდში" გავატარე. ახლა კი, ძირითადად, სამწვრთნელო განათლებას ვიღებ. როგორც იტყვიან, სწავლა სიბერემდეო, მე კი ჯერ ახალგაზრდა მწვრთნელი ვარ და ჯერაც ბევრი მაქვს სასწავლი", - ასე დაიწყო საუბარი მათეუსმა თავის სამწვრთნელო კარიერაზე.

**- როგორც ცნობილია, თქვენ რუსეთში გეპატიჟებოდნენ სამუშაოდ...**

- დიახ. ჩავედი კიდეც. მქონდა რამდენიმე საქმიანი შეხვედრა, მაგრამ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე საქმე არ მისულა. კაცმა რომ თქვას, იქ გადაწყვეტილების მისაღებად არც ჩავსულვარ. უბრალოდ, იქაური სიტუაცია მაინტერესებდა, მინდოდა, ჩემი თვალით მენახა, რას წარმოადგენს დღეს რუსული ფეხბურთი და რა იქნება მომავალში.

**- და რა გაარკვიეთ?**

- ჩემი აზრით, რუსებს ბევრი რამ აქვთ შესაცვლელი. ამ ქვეყანაში ბევრი ტალანტია, მაგრამ მათ თავის გამოჩენის საშუალება არ ეძლევათ. შევხვდი სხვადასხვა კლუბის ხელმძღვანელებს, რომლებსაც ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების უცხოეთში გაყიდვაზე ვესაუბრე.

**- თქვენ რა, აგენტობა დაიწყეთ?**

- მეგობართან ერთად მაქვს საკუთარი სააგენტო, რომელსაც ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ახალგაზრდა გერმანელ ფეხბურთელებთან და ნაკრების წევრებთანაც. ვფიქრობ, ეს სააგენტო ბევრ ფეხბურთელს დაეხმარება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მთავარი მიზანი ესაა.

**- თქვენ ვენის "რაპიდს" წვრთნიდით, მაგრამ შემდეგ პოსტი დატოვეთ. რა გახდა ამის მიზეზი? ვენაში თქვენი ხელმეორე ჩამოსვლა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ავსტრიულ ფეხბურთს დაუბრუნდებით?**

- "რაპიდიდან" კლუბის პრეზიდენტთან უთანხმოების გამო წავედი. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მან სხვა მიზნები დამისახა. საბოლოოდ, ჩემი მუშაობით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. კლუბში თამაში დაიწყო რამდენიმე ახალგაზრდამ, რომლებსაც, ჩემი აზრით, დიდი მომავალი აქვთ. რაც შეეხება ვენაში ჩემს ჩამოსვლას, ამჯერად მხოლოდ მეგობართან ჩამოვედი. ამჟამად ნამდვილად არ ვაპირებ, ავსტრიულ ფეხბურთს დავუბრუნდე. მომავალში კი, არ ვიცი, რა როგორ იქნება.

**- რომელ ქვეყნებთან აქვს ურთიერთობა თქვენს სააგენტოს?**

- ძირითადად, გერმანიასთან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ამ ქვეყნებში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომლებიც, თუ ხელშეწყობა ექნებათ, დიდ ფეხბურთს ითამაშებენ. სხვათა შორის, მინდა, საქართველოშიც მოვძებნო რამდენიმე ახალგაზრდა. როგორც მითხარით, თქვენ იქიდან ბრძანდებით.

**- დიახ. და ძალიან მაინტერესებს, ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტულის თქმა თუ შეგიძლიათ...**

- კონკრეტულად ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან ასეთ დონეზე არავისთან მისაუბრია. უბრალოდ, ვიცი, რომ აღმოსავლეთევროპელი აგენტები ხანდახან სწორად არ მუშაობენ. ამიტომაც, ვფიქრობ, ფეხბურთელებს ჩვენი დახმარება წაადგებათ. რაც უნდა ითქვას, ჩემი მომავალი, ძირითადად, სამწვრთნელო მუშაობასთან იქნება დაკავშირებული. ახლო მომავალში, ალბათ, ვიპოვი კლუბს, რომელსაც მართლა დასჭირდება ჩემი დახმარება და მუშაობასაც შევუდგები. მანამდე კი, როგორც ვთქვი, ვისწავლი.

### რაგბი

# უნივერსიტეტელებს ოთხეულში მოხვედრის შანსი გაუჩნდათ

*იმის გამო, რომ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ექვსი გუნდი თამაშობს, წესით და რიგით, თითოეულ ტურში სამი მატჩი უნდა იმართებოდეს. უნდა იმართებოდესო, ვამბობთ. სინამდვილეში ასეთი რამ წლევანდელ გათამაშებაში იშვიათობად იქცა - ხან რომელი გუნდი ამბობს უარს თამაშზე და ხან რომელი.*

პაატა თოთაძე

**ლოკომოტივი (თბილისი) – დათვები 2 (ბათუმი) 22:22**

**ლოკომოტივი:** *მაჭუტაძე, ჯოხია, გასვიანი, ვალიშვილი, სვანიძე, ცხადაია, ძნელაძე, მაისურაძე, სამხარაძე, ხაჩინაშვილი, ძიძიშვილი, გილაური, ბუგიანიშვილი, ო. ელოშვილი, ვ. აბაშიძე*

1 ლ. – ვალიშვილი
1 გ. და 5 ჯ. – ხაჩინაშვილი

**დათვები 2**: *მოლაშხია, გურეშიძე, პაპავა, ალიქაძე, პარწიკანაშვილი, კიკვიძე, შვანგირაძე, ხაჟომია, მ. აბაშიძე, ჩუბინიძე, შავაძე, ს. ევგენიძე, გ. ევგენიძე, სვინტრაძე, დავლაძე*

**მსაჯი:** *ნ. რობიტაშვილი*

გუშინ ასეთ გუნდად მოგვევლინა "ყოჩები", რომელმაც ბათუმში ჩასვლაზე უარი თქვა და სატურნირო ცხრილში ერთბაშად ორი საფეხურით ჩამოქვეითდა. ჩემპიონატის დებულების თანახმად, მატჩზე გამოუცხადებლობისთვის გუნდს წაგება ეთვლება და ქულაც ჩამოერთმევა. ასეთი ფაქტების თავიდან ასაცილებლად საქართველოს რაგბის კავშირმა, ალბათ, რამე უნდა იღონოს. ვისაც ოთხეულში მოხვედრა, მეტნაკლებად, გარანტირებული აქვს, ფულის ხარჯვისგან თავს იკავებს და საგარეო მატჩებზე იშვიათად დადის. ასეთ შემთხვევაში კი გუნდები უთამაშებლები რჩებიან. ეს განსაკუთრებით ბათუმელებზე ითქმის. ზღვისპირეთში ჩასვლაზე ბევრი უარს ამბობს და ბათუმელებიც, ფაქტობრივად, მხოლოდ საგარეო მატჩების იმედად არიან. გუშინდლამდე ბათუმში ჩასვლა უნივერსიტეტმა იუარა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, შესაძლოა, არც მომავალ ტურში ეწვიონ სტუდენტები აჭარას. ბათუმელებს კი ცოტა ხანში ევროპის რეგიონთა თასზე ნახევარფინალური მატჩი ელით საფრანგეთის პროვანსის პროვინციის ნაკრებთან და ეროვნული ჩემპიონატის მატჩები ამ მნიშვნელოვანი თამაშისთვის მოსამზადებლად წაადგებოდათ. ასეა თუ ისე, დღეს ქართულ რაგბიში ასეთი ვითარებაა და, რაც მალე გამოსწორდება, მით უკეთესი.

გუშინდელი ტურის პირველ მატჩში "ლოკომოტივი" და "დათვები 2" შეხვდნენ ერთმანეთს. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, მატჩი ორივე გუნდისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. ორივე მათგანი ოთხეულში მოსახვედრად იბრძვის და კონკურენტთან მარცხს მომავალში, შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ამ გუნდების პირველი შეხვედრა ბათუმში თბილისელთა გამარჯვებით დასრულდა. უმეტესობის აზრით, ახლაც იგივე უნდა მომხდარიყო, მაგრამ საქმე ის არის, რომ მასპინძლები მოედანზე შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდნენ. ტრავმის გამო "ლოკომოტივს" აკლდნენ კახა ალანია, ნონო ანდღულაძე, გიორგი ასათიანი, ლექსო გუგავა. ამითვე იყო გამოწვეული ის, რომ თემურ ბენდიაშვილმა დემირ ძნელაძე შერკინების მესამე ხაზში ათამაშა. შერკინებაზე ჩამოვარდა სიტყვა და, "ლოკომოტივის" ნაქები შერკინებაც ძველის აჩრდილს ჰგავდა. ყოველივე ამან და იმანაც, რომ გუნდი ჩემპიონატის მატჩებისთვის, როგორც საჭიროა, ისე ვერ ემზადება, მასპინძელთა თამაშს დაღი დაასვა. თბილისელთა ერთ ლელოს სტუმრებმა სამით უპასუხეს. სამაგიეროდ, მასპინძლები საჯარიმოებს ურტყამდნენ უკეთესად. სწორედ ამან მისცა მათ საშუალება, მატჩი ფრედ დაესრულებინათ. ვინ იცის, იქნებ მოეგოთ კიდეც, ცოტა ყურადღებით რომ ეთამაშათ. ამ უყურადღებობისა და შეცდომებისთვის თბილისელები კინაღამ დაისაჯნენ. მატჩის ბოლოს დავლაძეს სვინტრაძის მიერ გატანილი ლელო ზუსტად რომ გარდაესახა, ბათუმელები შინ გამარჯვებულები დაბრუნდებოდნენ.

ტურის მეორე მატჩში უნივერსიტეტმა ქუთაისის "აიას" უმასპინძლა. ბოლო დროს სტუდენტებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თამაშის ხარისხი და ზედიზედ რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს. გამარჯვებათა სერია უნივერსიტეტმა გუშინაც გააგრძელა, ამჯერად ქუთაისელები დაამარცხა (17:7) და ოთხეულში მოხვედრის რეალური შანსიც გაუჩნდა.



*ლოკომოტივი - დათვები 2*

### მოკლედ

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალმა" ერთ პატარა უკრაინელ ბიჭუნას ისეთი სიურპრიზი მოუმზადა, რომელსაც ის, ალბათ, დიდხანს ვერ დაივიწყებს. 11 წლის ანდრეი კუზმენკო ესპანელებმა დაპატიჟეს მადრიდში, სადაც მას დაუვიწყარ არდადეგებს გაატარებინებენ. ბიჭუნა მონაწილეა იმ ტრაგედიისა, რომელიც წლეულს, ივლისში, უკრაინის ქალაქ ლვოვში დატრიალდა, როდესაც ავიაშოუზე სამხედრო თვითმფრინავი ჩამოვარდა და 76 ადამიანი იმსხვერპლა. მაშინ ანდრეი კუზმენკოც იქ იყო და სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა. "სამეფო კლუბის" წარმომადგენლებმა ტელევიზიით ნახეს ბიჭუნა "რეალის" თეთრ, დაგლეჯილ მაისურაში და გადაწყვიტეს, მადრიდში მიეწვიათ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუნხენის "ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანი, როგორც ჩანს, იტალიური "მილანის" სასურველ ფეხბურთელთა სიაში მოექცა. გაზეთ "Gazzetta dello Sport"-ის ინფორმაციით, მილანელები ყველაფერს იღონებენ, რომ 33 წლის მეკარე გადაიბირონ. ამავე გაზეთის ცნობით, "მილანი" გეგმავს: კლუბის მეკარე კრისტიან აბიატი "პარმაში" გადავა, "პარმას მეკარე სებასტიან ფრეი - "ბაიერნში", მის ნაცვლად კი "მილანი" კანს მიიღებს. მიუხედავად იმისა, რომ "Gazzetta dello Sport"-ი პრესტიჟული სპორტული გამოცემაა, ამ ოპერაციას განხორციელება, ალბათ, მაინც არ უწერია, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ "ბაიერნის" ხელმძღვანელობა სულ იმეორებს: "კანი არ იყიდება".

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ჩოგბურთის ამერიკელი ვარსკვლავი, ანდრე აგასი, კარიერის დამთავრებაზე არ ფიქრობს. "მე ჯერ კიდევ ვილვწი იმისთვის, რომ უკეთესი გავხდე, მივაღწიო კიდევ უფრო ძლიერ დარტყმას, მოვიპოვო კიდევ უფრო დიდი გამარჯვებები. მენტალურად საერთოდ არავითარი პრობლემა არა მაქვს. ფიზიკურად კი შესანიშნავ ფორმაში ვარ. ასე რომ, კიდევ ერთ-ორ წელიწადს ნამდვილად არ ვაპირებ ჩოგბურთიდან წასვლას", - განაცხადა 32 წლის ჩოგბურთელმა. ასეთი კარგი განწყობის მიზეზად, თავად აგასი შტეფი გრაფთან ქორწინებას ასახელებს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "ტოიოტადან" დათხოვნილი ფორმულა 1-ის ფინელი პილოტი მიკა სალო, რომელმაც 2002 წლის სეზონის დასრულებისთანავე ავტოსპორტიდან წასვლის შესახებ განაცხადა, შესაძლოა, ისევ დაუბრუნდეს სამეფო რბოლებს. ფინელი, სავარაუდოდ, "რენოს" საჯინიბოში გადაინაცვლებს. რაკი გუნდს ამჟამად ტესტ-პილოტი არ ჰყავს, სალოს, ალბათ, ამ ვაკუუმის ამოვსებას შესთავაზებენ. საქმე ის არის, რომ "რენოს" ყოფილ გამომცდელს, ფერნანდო ალონსოს, ახალ სეზონში თავად მოუწევს პილოტობა.

სალო ერთადერთი არ არის 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მრბოლთა შორის, ვინც უმუშევრად დარჩა. ჯერჯერობით, უსაქმურად არიან ალექს იონგი ("მინარდი"), ენრიკე ბერნოლდი ("ეროუზი"), ალან მაკნიში ("ტოიოტა"), ედი ირვაინი ("იაგუარი"), პედრო დე ლა როსა ("იაგუარი") და ფელიპე მასა ("ზაუბერი").

■ ■ ■

**მოტოსპორტი.** მოტოციკლების მწარმოებელი იტალიური კომპანია "აპრილია" მომავალ სეზონში წრიული რბოლების მსოფლიო ჩემპიონატისთვის თავის უმთავრეს კონკურენტს, "ჰონდას", დუელში გამოიწვევს. სპეციალისტებს ამის თქმის საბაბი მაშინ მიეცათ, როდესაც იტალიელთა განზრახვა შეიტყვეს. "აპრილიას" ერთბაშად ორი ცნობილი სპორტსმენის - ამერიკელი კოლინ ედვარდსისა და იაპონელი ნორიუკი ჰაგას შესყიდვა სურს. ედვარდსი წლეულს სუპერბაიკში ჩემპიონი გახდა.

■ ■ ■

**სუმო.** როგორც ცნობილმა სუმოისტმა ტაკანოჰანამ განაცხადა, მუხლის ტრავმის გამო, იძულებულია, გამოტოვოს კუნძულ კიუსიუზე ჩასატარებელი დიდი ტურნირი. ტაკანოჰანამ ადრეც გამოტოვა შეჯიბრებები. კერძოდ, 2001 წლის მაისში, იმპერატორის თასის 22-ე გათამაშების შემდეგ, ცნობილი სპორტსმენი, იმავე მიზეზის გამო, იძულებული იყო, ერთხანს სუმოზე ხელი აეღო.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ინსპექტორებმა, რომლებიც 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა მუშაობას ადევნებენ თვალყურს, გუშინ განაცხადეს, რომ კმაყოფილები არიან ბერძნების მზადების პროცესით. მიუხედავად ამისა, ინსპექტორები ორგანიზატორებს მოუწოდებენ, ტემპი არ დააგდონ, რადგან კიდევ ბევრია გასაკეთებელი, კერძოდ, ჯერ კიდევ მოსაგვარებელია სპორტულ ნაგებობათა და ინფრასტრუქტურის საკითხები.

### ფეხბურთი

# რიო-დე-ჟანეიროს მეორე ლიგა ემუქრება

## "ბოტაფოგო", "ფლამენგო" და "ვასკო" ვარდებიან

*ქალაქი რიო-დე-ჟანეირო საფეხბურთო დაცემის საშიშროების წინაშე დგას. ბრაზილიის ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურიღა დარჩა, რიოს ფეხბურთის გიგანტები "ბოტაფოგო", "ფლამენგო" და "ვასკო და გამა" კი გასავარდნ ზონაში არიან. ასეთი რამ ბრაზილიის საფეხბურთო ისტორიას არ ახსოვს...*

აკა ტონია

რო-დე-ჟანეიროს ბევრი საფეხბურთო კლუბი ჰყავს, მათგან ოთხი კი "რიოს დიდი ოთხეულია". ესენი არიან: "ფლამენგო", "ფლუმინენსე", "ბოტაფოგო" და "ვასკო და გამა". სწორედ ეს ოთხი კლუბი წარმოადგენს რიოს შტატს ქვეყნის წლევანდელ ჩემპიონატში, თუმცა... მათგან ყველაზე წარმატებული "ფლუმინენსე" აღმოჩნდა, წარმატება კი მე-9 ადგილია. დანარჩენი სამი გრანდი სატურნირო ცხრილის 24-ე, 25-ე და 26-ე საფეხურებზე არიან. სულ კი ბრაზილიის ჩემპიონატში 26 გუნდი ასპარეზობს. უკანასკნელი ოთხი მეორე ლიგაში ვარდება.

ბოლო ადგილზეა "ბოტაფოგო" - ლეგენდარული გარინჩას, დიდის და სხვა უამრავი ვარსკვლავის კლუბი. ხუთშაბათს, უკანასკნელ მატჩში, "ბოტაფოგომ" ასევე სახიფათო ზონაში მყოფ "პარანასთან" 0:2 წააგო და 22 ქულით 26-ე ადგილზე დამკვიდრდა. ამ დღეს არ უთამაშია "ფლამენგოს", თუმცა, "პარანას" გამარჯვების "წყალობით", ისიც საშიშ ზონაშია.

"ვასკო და გამა", უკანასკნელი წლების ბრაზილიური "სუპერ-გუნდი", უკანასკნელ მატჩში ჩემპიონატის ლიდერთან, "სანტოსთან" 3:5 დამარცხდა და "ბოტაფოგო"-"ფლამენგოს" კომპანიას უწევს.

1971 წლიდან, მას შემდეგ, რაც ბრაზილიის ჩემპიონატი დაარსდა, "რიოს გრანდები" მუდამ უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდნენ. თუ წლეულს ეს სამი კლუბი გავარდა, მომავალ სეზონში ბრაზილიის ჩემპიონატში რიო-დე-ჟანეიროს მხოლოდ ერთი წარმომადგენელი - "ფლუმინენსე" ეყოლება.

რიოელი გულშემატკივარი განაწყენებულია. ამ ქალაქში 7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მათ ახსოვთ გარინჩა, ზიკო. აქ დაიბადნენ რომარიო და რონალდო. "ფლამენგოს" (მას 173-მილიონიანი ბრაზილიის 60 პროცენტი გულშემატკივრობს) უკანასკნელ მატჩს მხოლოდ 5000 გულშემატკივარი დაესწრო. ეს მაშინ, როდესაც კლუბი უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. დასასწრები ბილეთების ფასი კი უფრო შეამცირეს – ის ახლა 25 ცენტიდან 2 დოლარამდე მერყეობს.



*ერთ დროს ბებეტოს "ბოტაფოგო" 26-ე ადგილზეა...*

# დოპინგი ორ ევროდ

## "კარმენი" ვენის შტაატსოპერაში

*არა, ცუდს ნურაფერს იფიქრებთ, გეთაყვა. ნარკომანად გახდომა ნამდვილად არ მაქვს გადაწყვეტილი. არც თქვენ გადაგღლით ანტინარკოტიკული აგიტაცია-პროპაგანდით. უბრალოდ, მუსიკალურ დოპინგზე მინდა მოგითხროთ, რომელიც იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ დღემდე მავსებს ენერგიითა და ხალისით, რაც ასე მაკლდა ჩვენს მშობლიურ თბილისში.*

ნინო პირველი

ვენა რომ მუსიკის ქალაქია, ალბათ, კარგად მოგეხსენებათ. ხელოვნების მოყვარულთათვის აქ ნამდვილი ამქვეყნიურ სამოთხეა შექმნილი. რა გინდა სულო და გულო, ოპერა, თეატრი, გამოფენა თუ კონცერტი - ყველაფერი ისეთია, აღფრთოვანებისგან დიდხანს იფრენ ღრუბლებში. სანამ ფული გაქვს, შენთვის ყველა კარი ღიაა - შტაატსოპერაშიც წახვალ, ბურგტეატრშიც და მუზეუმებშიც, მაგრამ თუ ეს ახალი, ყოვლად არასიმპათიური ევროები შემოგაკლდება, მაშინ მოგიწევს მიწაზე დაშვება. ხელოვნებას ვენაში დიდად აფასებენ და დიდ ფასსაც ადებენ. ამის მიუხედავად, ვენის თეატრები და საკონცერტო დარბაზები ყოველთვის სავსეა, რადგან ვენაში შედარებით ნაკლებად შემოსავლიან ხალხსაც სცემენ პატივს. შტაატსოპერაში ერთი და იგივე სპექტაკლის ნახვა 180 ევროდაც შეიძლება და 2 ევროდაც, რაც სხვაგან იშვიათად ხდება. 180 ევროდ პარტერის პირველ რიგში გამოიჭიმებით, ორ ევროდ კი აივანზე ან გალერეაზე მოგიწევთ ფეხზე დადგომა, მაგრამ მერე რა? განა ორკესტრი ყველასთვის ერთნაირად არ უკრავს და მომღერლებიც ყველასთვის არ მღერიან ამ საუცხოო აკუსტიკის მქონე დარბაზში? ასე რომ, სულაც არ მრცხვენია იმის აღიარება, რომ "კარმენზე" ვიყავი და სამი საათი ფეხზე ვიდექი. ფრანკო ძეფირელის ეს სპექტაკლი გალერეიდანაც კი საოცრად მშვენიერი იყო.

მართალი გითხრათ, აქამდე თეატრში ფეხზე მდგომს არასოდეს მიყურებია სპექტაკლისთვის და თავიდან, ცოტა არ იყოს, მეშინოდა, შტაატსოპერაში სამი საათი ფეხზე დგომის. მაგრამ "შტეეპლაცი" სულაც არ აღმოჩნდა ისეთი საშინელება, როგორიც მეგონა. თუ ფეხზე დგომა გაქვს გადაწყვეტილი, მაშინ თეატრში საათნახევრით ადრე უნდა მიხვიდე, უშველებელ რიგში ჩადგე, ბილეთის აღების შემდეგ სასწრაფოდ უნდა მიაშურო იარუსს და შეეცადო, რაც შეიძლება კარგი ადგილი შეარჩიო, რადგან თუ დაგასწრეს, მერე უკვე ველარაფერი გიშველის. ყველაზე ცუდი სწორედ ეს სპექტაკლისწინა პერიოდია. პარტერი, ლოჟები და იარუსები ნელ-ნელა ივსება საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული ხალხით, საზოგადოება ფოიეში შამპანურს სვამს და დარბაზში შესვლას არ ჩქარობს, შენ კი, კიბეზე ან ბოლო რიგის ბოლო სკამზე მოუსვენრად ჩამომჯდარი, სპექტაკლისთვის ძალებს იკრებ და თან ცალი თვალით შენი ადგილისკენ იყურები, რათა შემთხვევით ვინმეს აზრად არ მოუვიდეს შენი კოსტიუმის განზე გაწევა და მოაჯირზე საკუთარი ქურთუკის გადაკიდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილი "დაგაწერეს" და უსიამოვნო ახსნა-განმარტებისათვის უნდა მოემზადო.

საათის ისრები შეუბრალებლად ნელა უახლოვდება შვიდის ნახევარს. ორკესტრი სხვადასხვა ხმაზე გუგუნებს. დარბაზში ისე ცხელა, რომ ჯინსის შარვლისა და მაღალყელიანი პულოვერისგან გატანჯული, შურით ვუყურებ პარტერში მყოფ ლაღად დეკოლტირებულ, მკერდზურგმოშიშვლებულ ქალებს და მათ ადგილზე ყოფნას ვნატრობ. თავს იმის გახსენებით ვიმშვიდებ, რომ საღამოს კაბაში გამოწყობილი, არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ მეც ვიჯდები პარტერის მეოთხე რიგში გუნოს "რომეო და ჯულიეტას" პრემიერაზე, რომლის 155 ევროდ ღირებულმა ბილეთმა დიდად დააზარალა ჩემი ბიუჯეტი.

ბოლოს და ბოლოს, დირიჟორი ვიეკოსლავ შუტეი თავის კუთვნილ ადგილს იკავებს პულტთან და იწყება... წარმოგიდგენიათ კი, რა საოცრება იწყება? მე, უბრალოდ, ვერც ვიფიქრებდი, რომ თანამედროვე თეატრში კიდევ იყო შესაძლებელი ასეთი ლამაზი სპექტაკლის ნახვა. გახსოვთ, როგორი "კარმენი" დაგვიდგა რობერტ სტურუამ? ყველაფრის გათანამედროვების საშინელი ტენდენციისგან თავმობეზრებული, ვენაშიც ჯინსებს და მინი კაბებს ველოდი და როცა სცენაზე ფრანკო ძეფირელიმ ძველი სევილია დამახვედრა, გაოგნებისგან იმდენად დავიბენი, რომ დიდხანს ვერ მივხვდი, რა დამნათოდა თავზე ლურჯად და რატომ იწერებოდა ამ უცნაურ საგანზე რაღაც გაურკვეველი ინგლისური სიტყვები. როცა დონ ხოსეს ძებნაში გართულმა მიქაელამ ჯარისკაცთა ფლირტს თავი დააღწია და სცენაზე ბიჭუნათა გუნდი გამოჩნდა, მაშინღა მივხვდი, რომ ჩემს თავს ზემოთ ელექტრონული ტაბლო იყო დამონტაჟებული, რომელიც მაყურებელს "კარმენის" ტექსტის ინგლისურ თარგმანს სთავაზობდა. ტექნიკას გულში მადლობა გადავუხადე დახმარებისათვის და აგნეს ბალტსას კარმენის მოლოდინში, ჯარისკაცებისა და ფაბრიკაში მომუშავე ქალების გუნდის მთელი ტექსტი წავიკითხე, რომლიდანაც აქამდე ერთ სიტყვასაც კი ვერ ვიგებდი ხოლმე.

შემდეგ სცენა აგნეს ბალტსას კარმენმა და ფაბიო არმილიატოს დონ ხოსემ დაიპყრეს და ამ ორი მომღერლის საოცარი ოსტატობით მოხიბლულს, ყველაფერი დამავიწყდა, მათ შორის - ინგლისურ ტექსტიანი ტაბლოც. აგნეს ბალტსა ისეთ შესანიშნავ ფიზიკურ-ვოკალურ ფორმაში იყო, ისე ენერგიულად მღეროდა და ცეკვავდა კარმენის სეგედილიას, რომ როცა ჩემს ახლად შეძენილ მეგობრებს ჩემი საოპერო ცოდნა გადავუშალე და განვუცხადე, ეს ბერძენი სოპრანო 58 წლისაა - მეთქი, არავინ დაიჯერა, ნამდვილად გეშლებაო. აგნეს ბალტსა მართლაც იმდენად კოხტად დაცქრიალებდა სცენაზე, რომ ბოლოს მეც შემეპარა ეჭვი, მართლა ხომ არ მეშლება რამეთქო, მაგრამ მეორე დღეს ინტერნეტში სპეციალურად ვნახე მისი ბიოგრაფია და დავრწმუნდი, რომ ყველაფერი სწორედ მახსოვდა, აგნეს ბალტსა მართლაც 58 წლისაა და შესანიშნავად მღერის კარმენს. ჩემმა გერმანელმა მეგობარმა ნატალიმ, რომელიც, სხვათაშორის მუსიკისმცოდნეა, ცოტა არ იყოს, უცნაური რამ მითხრა, კარმენი, ალბათ, არც იყო ძალიან ახალგაზრდა, ასე რომ აგნეს ბალტსას ასაკი პრობლემა არ არისო. ნატალი, ალბათ, გარკვეულწილად მართალია, რადგან შეუძლებელია "ფემმე ფატალე" 15 წლის თინეიჯერი იყოს. აქ ნამდვილი, სრულყოფილი ქალია საჭირო, სწორედ ისეთი, როგორიც შესანიშნავ ფორმაში მყოფი აგნეს ბალტსაა.


აგნეს ბალტსა

იტალიელი ფაბიო არმილიატოს დონ ხოსე თავიდან ბოლომდე დამორჩილებული იყო თავისი კარმენის მაგიურ ხიბლს. ფინალურ სცენაში იტალიელი ტენორი ისე ეხვეწებოდა კოპებშეკრულ კარმენს, წამოდი ჩემთან, ახალი ცხოვრება დავიწყოთო, რომ ლამის თვალზე ცრემლი მომადგა, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ ვარ სენტიმენტალური. გენიალური იყო კარმენის სიკვდილის სცენა.

აი, დაახლოებით ასეთი იყო ჩემი ორევროიანი დოპინგი. რა თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელია სიტყვით გადმოვცე ის, რაც მუსიკამ მაგრძნობინა და ამიტომ კარგად ვიცი, ჩემი მონათხრობი თქვენთვის დოპინგი ვერ იქნება. რა გაეწყობა, სხვა თუ არაფერი, "კარმენის" კიდევ ერთხელ მოსმენის სურვილი ხომ მაინც გაგიჩნდათ?

# კოლუმბის ზარი



12 დეკემბერს, მადრიდში, აუქციონზე, ზარს გამოფენენ. უბრალო ზარი არ გეგონოთ: ქრისტეფორე კოლუმბის კარაველას, "სანტა მარიას" ზარია, რომელმაც მაშინ დარეკა, როცა დიდმა ზღვაოსანმა ამერიკა აღმოაჩინა.

კარაველა მე-16 საუკუნეში ჰაიტის ნაპირებთან დაიძირა, ზარი კი 1994 წელს მოხსნეს. ახლა მისი საწყისი ფასი მილიონი დოლარია. ზარი ზღვის ფსკერიდან იტალიელმა მყვინთავმა, რობერტო მაცარამ ამოიტანა. ის დოკუმენტებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ, როცა ერთ-ერთმა მეზღვაურმა ნისლში ამერიკის კონტინენტი დალანდა, ფლაგმანის ხომალდზე სწორედ ამ ზარის ხმა გაისმა.

ესპანეთის კანონების თანახმად, თუკი ნივთი ესპანეთის ისტორიასთანაა დაკავშირებული და ეროვნულ ფასეულობას წარმოადგენს, სახელმწიფოს მისი შეძენის უპირატესი უფლება აქვს. ამასთან დაკავშირებით ქვეყნის მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები და ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზაციები ესპანეთის კულტურის სამინისტროს მოუწოდებენ, ისარგებლოს ამ უფლებით და კოლუმბის ზარი შეიძინოს.

## კალენდარი

### 10 ნოემბერი

რომ არა ოქსფორდის უნივერსიტეტში გასამგზავრებლად მოპოვებული სტიპენდია, იყო შანსი, რიჩარდ ბარტონის ცხოვრება სხვა სცენარით წარმართულიყო – ის, ალბათ, ვერასდროს დააღწევდა თავს მეშახტე მამის ოჯახს და 11 და-ძმასთან ერთად, უელსში ჩარჩებოდა.

ჰოლივუდში ის ლოურენს ოლივიეს მემკვიდრედ მიიღეს. მანამდე კი ბარტონის ტალანტი და საოცრად თეატრალური ხმის ტემბრი, უელსური აქცენტით, ლონდონელებმა აღმოაჩინეს. რეჟისორი ფილიპ დანი იგონებს: "როდესაც 1949 წელს დადგმას, The Lady's Not For Burning-ს ვუყურებდი, აშკარად დავინახე, თუ როგორ დაჩრდილა სცენის ვარსკვლავი ჯონ გილგუდი სრულიად ახალბედა ბარტონმა. მისი სცენაზე ასვლა და მაყურებლის მოჯადოება ერთი იყო".

მიუხედავად ამისა, ბევრი ამტკიცებს, რომ ბარტონმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა არა, როგორც ნიჭიერმა მსახიობმა, არამედ როგორც ელიზაბეტ ტეილორის მეუღლემ. შეიძლება, მას მართლაც ბევრი ჩავარდნა ჰქონდა, თუმცა, ფაქტია, რომ ბარტონმა შთამბეჭდავი სახეები შექმნა თავისი დროის ყველაზე მნიშვნელოვან ფილმებში: "კლეოპატრა", "ჩემი ბიძაშვილი რეიჩელი", "მწარე გამარჯვება", "ბეკეტი", "ვის ეშინია ვირჯინია ვულფის", "იგუანას ღამე", "დოქტორი ფაუსტი", "ჭირვეულის მორჯულება" და ბროდვეიზე დადგმული "ჰამლეტი"... ასეთი აღიარების მიუხედავად, ბარტონი, პიტერ ო`ტულთან ერთად, ის მსახიობია, რომელიც "ოსკარზე" შვიდჯერ იყო წარდგენილი, მაგრამ ვერც ერთხელ მოიპოვა.



ლეგენდარულ მსახიობს დღეს 77 წელი შეუსრულდა. **რიჩარდ ბარტონი** 1925 წლის 10 ნოემბერს დაიბადა, გარდაიცვალა 1984 წლის 5 აგვისტოს.

# სანქტ-პეტერბურგში „რუსთაველის" გასტროლები დაიწყო

*გუშინ სანქტ-პეტერბურგში "რუსთაველის" თეატრის დასმა მესამე გასტროლები დაიწყო. გასტროლები ოპერისა და ბალეტის თეატრში თბილისელმა თეატრალებმა "კავკასიური ცარცის წრით" გახსნეს. "რუსთაველის" წარმოდგენები რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქში 18 ნოემბრის ჩათვლით გაიმართება.*

თეა დვალი

"რუსთაველელებმა" პეტერბურგში პირველად 1983 წელსაც "კავკასიური ცარცის წრე" წაიღეს. "ახლა ამ სპექტაკლს ჩვენ რეალობის სრული შეგრძნებით ვთამაშობთ. აქამდე ის ზოგიერთისთვის საქართველოზე ზღაპარსაც ჰგავდა: ომი, სისხლი, ლტოლვილები... პიესაში და დღევანდელ კავკასიაში განვითარებული მოვლენები საოცრად ჰგავს ერთმანეთს", - რუსი საზოგადოების წინაშე ასეთი წინასაგასტროლო წინასიტყვაობა რეჟისორ რობერტ სტურუას ეკუთვნის. სპექტაკლი, რომელიც რეჟისორმა ლირიულ დრამად ჩაიფიქრა, ოცდაშვიდი წლისაა და წლების განმავლობაში კომედიად იქცა. "ამის გამო სკანდალებიც მქონდა მსახიობებთან. საბოლოოდ ხელი ჩავიქნიე და ვთქვი, დაე, იყოს, როგორც არის-მეთქი", - იხსენებს მაესტრო. ახლა ამ კომედიაზე ქართველებს ჩრდილოეთში კიდევ უფრო მწარედ ეცინებათ.

"კავკასიურის" გარდა "რუსთაველელებმა" სანქტ-პეტერბურგელ მაყურებელს სამი პრემიერა მოუმზადეს. ესენია: შექსპირის "როგორც გენებოთ, ანუ მეთორმეტე ღამე", "ჰამლეტი"(იმის მიუხედავად, რომ პიესა სტურუამ ორჯერ დადგა, დიდი დრამატურგის ცნობილი ტრაგედიის ამ ვერსიას პეტერბუგელები პირველად ნახავენ), გასტროლებს კი ბეკეტის "გოდოს მოლოდინში" დაასრულებს. ამ უკანასკნელი სპექტაკლის საგასტროლოდ გატანა რობერტ სტურუას თბილისურმა წარმატებებმა გადააწყვეტინა: როგორც ცნობილია, რეჟისორმა მხოლოდ პიესის პირველ ნაწილზე დაასრულა მუშაობა. "გოდოსთან" ერთად, იმავე დღეს წარმოადგენს თუ არა სტურუა კალიაგინის თეატრში დადგმულ "კრეპის უკანასკნელ სურათს", ეს, ალბათ გასტროლების ბოლო დღეებში გადაწყდება. ჩვენთვის ცნობილია, რომ რეჟისორს სურდა ამ ორი წარმოდგენით დაესრულებინა გასტროლები, რამდენადაც ამის საშუალებას პეტერბურგის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენა მისცემდა.

ასე რომ, სანქტ-პეტერბურგელებს, ჯერ-ჯერობით, ყველაფერი წინ აქვთ. გასტროლების დასრულებამდე კი ქართველი მაესტრო ვერ ასცდა რუსული მედიის პოლიტიკურ შეკითხვებს, ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ, რომელსაც სტურუა საკმაოდ გულახდილად პასუხობდა: "ჩემი ზრით, ურთიერთობების გამძაფრების ჭეშმარიტი მიზეზი ნავთობსადენია. სანავთობო გზა, რომელმაც საქართველო უნდა გადაკვეთოს, რუსული ხელისუფლების მკვეთრ გაღიზიანებას იწვევს. ისინი ცდილობენ სიტუაციის დესტაბილიზაციას, რათა ეს ნავთობპროექტი ჩაშალონ. რუსეთს არ სურს ის კაპიკებიც კი გაუშვას ხელიდან, რომელიც ნავთობის ტრანზიტს მოაქვს. იმის მიუხედავად, რომ მისთვის ეს მართლაც კაპიკებია, ამ თანხის გარეშე რუსეთი იცოცხლებს, აი, საქართველოს ბიუჯეტისთვის კი არსებითი მნიშვნელობა აქვს".

რუსეთში ყოფნისას რობერტ სტურუა, ალბათ, დათანხმდება რუსი კოლეგების შეთავაზებას და გადაწყვეტს, თუ რას დადგამს დიდ დრამატულ თეატრში. "ალბათ, რუსული კლასიკიდან შევარჩევ რაიმეს – ოსტროვსკის ან ჩეხოვს. როდესაც პირველად ჩამოვედი აქ "თოლიები" შევარჩიე, მაგრამ ახლა გვიანია, "თოლია" უკვე ლონდონში დავდგი. მგონია, ჩეხოვს ახლა ყველაზე გენიალური რეჟისორიც კი ვერ დადგამს ისე, როგორც საჭიროა", - ამბობს სამომავლო გეგმების შესახებ რობერტ სტურუა.

# ბრიტანელი ტარანტინოს უიღბლო ჩავარდნა

გაი რიჩი ახალ ფილმს იღებსო – ეს ფრაზაც კი მაყურებელს ხალისიან ღიმილს გვრის. "ბანქოსა" და "დიდი კუშის" შემდეგ რეჟისორს ბრიტანელ ტარანტინოდ მოიხსენიებენ და მის ყოველ ნამუშევარს ინგლისური და შავი იუმორის საუკეთესო ნაზავად ასაღებენ (ორივე ამ ფილმს ქართველი მაყურებელიც კარგად იცნობს).

ზოგადად, რიჩის პრესასთან ურთიერთობა არ უყვარს, მაგრამ როდესაც საქმე კონკრეტულად ფილმების განხილვაზე მიდგება, ის ყოველთვის ვრცლად საუბრობს კინოში გამოყენებულ იუმორზე, ცალკეულ ეპიზოდებზე, სათაურის შერჩევის პროცესზე. თუმცა, აი, გამოვიდა რიჩის ბოლო ნამუშევარი, "გარიყულნი" და რეჟისორი ჯიუტად დუმს, ფილმის შესახებ არაფერს ამბობს...

სანამ ამ საეჭვო სიჩუმის ნამდვილი მიზეზი გაირკვეოდა, პრესა ათას ვერსიას თხზავდა. ჟურნალისტები ვარაუდობდნენ, რომ რიჩის ურჩევნია, მას "დიდი კუშის" და არა ჩვეულებრივი კომედიის რეჟისორად იცნობდნენ; ან პრესასთან არ ურთიერთობს იმიტომ, რომ ის ახალ ფილმზე, "49-ე კარიბჭეზე" მუშაობის გამო ძალიან დაკავებულია; ან დუმს იმიტომ, რომ სუპერვარსკვლავი მეუღლის ჩრდილქვეშ მოექცა (ფილმში მადონა მთავარ როლს ასრულებს); დაბოლოს, შეიძლება, არაფერს ამბობს იმიტომ, რომ "გარიყულნი" რიჩის მკვეთრად გამოხატული სტილიდან აშკარა გადახვევაა. ეს, უბრალოდ, "მისი სტილის ფილმი" არ არის.

ამერიკაში განცდილი მარცხის შემდეგ კი, როგორც იქნა, სპეკულაციას ბოლო მოეღო. კინოკრიტიკოსებმა ერთხმად აღიარეს: რიჩი დუმდა იმიტომ, რომ მან წინასწარვე იცოდა, ფილმი არ გაამართლებდა. ასეც მოხდა. "გარიყულნი" აშშ-სა და


მადონა მეუღლის ახალ ფილმში

კანადაში, პრემიერის კვირეულში, მომგებიანი ფილმების ათეულშიც ვერ მოხვდა და პირველ უიკ-ენდზე მხოლოდ 375 ათასი დოლარის მოპოვება შეძლო (შედარებისთვის: შემოდგომის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სურათის, "ჰანიბალის" მოგება 17.6 მილიონი დოლარი იყო). შესაბამისად, "გარიყულნის" ცუდად შეხვდა ამერიკული პრესაც. "კატასტროფა", "ფიასკო", "გემის დაღუპვა" – როგორ აღარ მოიხსენიებდნენ ფილმს გაზეთებში. "ვაშინგტონ პოსტის" რეცენზიაში ის შეაფასეს, როგორც "მოყვარულის მიერ პლაჟზე გადაღებული ვიდეო". ირონიული შენიშვნები რიჩის ბოლო ნამუშევარს არც "სან ფრანცისკო ეგზამაინერის" კინოკრიტიკოსმა დააკლო.

ცხადია, ეს იუმორის საოცარი გრძნობით დაჯილდოებული რეჟისორისთვის საშინელი მარცხია. ბრიტანელმა ტარანტინომ თავისი ახალი კომედიის საშუალებით ამერიკა აშკარად ვეღარ დაიპყრო. ფილმს წარმატების მოპოვებაში ვერც მადონას სუპერვარსკვლავობა დაეხმარა. ახლახან, "გარიყულნის" ოფიციალურმა დისტრიბუტორმა, კინოკომპანია "კოლამბია ტრისტარსმა" კიდევ უფრო დაუჯერებელი ინფორმაცია გაავრცელა. გაირკვა, რომ "გარიყულნი", რომლის პრემიერაც ბრიტანეთში 2003 წლის მარტში უნდა გამართულიყო, საერთოდ ჩაიშალა. "ტრისტარის" წარმომადგენლები მეტს აღარაფერს ამბობენ. ისინი მხოლოდ დასძენენ იმას, რომ "გარიყულნი" ზაფხულში, პირდაპირ ციფრულ დისკებსა და ვიდეო-კასეტებზე გამოვა.

არადა, ბრიტანელები სულმოუთქმელად ელოდნენ რიჩის ახალი კომედიის გამოსვლას. ფილმში მადონა 40 წლის, განებივრებული და მდიდარი ქალბატონის როლს ასრულებს, რომელსაც მეუღლე გემით სამოგზაუროდ საბერძნეთსა და იტალიაში წაიყვანს, გემი დაიღუპება და უკაცრიელ კუნძულზე ის ერთ-ერთ მგზავრთან ერთად გაირიყება. წესით, სწორედ აქედან უნდა დაიწყოს სასაცილო ისტორიები. თუმცა, თუ ამერიკელ კინოკრიტიკოსებს ვენდობით, ფილმში რიჩის ცნობილი იუმორი არსად ჩანს.

ბუნებრივია, ასეთ მკაცრ შეფასებებს რიჩის წინა ფილმების, კერძოდ კი, "ბანქოსა" და "დიდი კუშის" მისამართით არავინ აკეთებდა. 1998 წელს გამოსული "ბანქოს" სანახავად ბრიტანულ კინოთეატრებს მილიონობით ადამიანი მიაწყდა და ფილმმაც რეჟისორს 11.7 მილიონი გირვანქა სტერლინგის მოგება მოუტანა. საზოგადოება მშვენივრად შეხვდა "დიდ კუშსაც". პრემიერის კვირეულში მისი მოგება 3 მილიონი გირვანქა სტერლინგი იყო, საბოლოო შემოსავალი კი – 12.3 მილიონი...

ასეა თუ ისე, დღეს, "გარიყულნის" მარცხის შემდეგ, გაი რიჩი ნამუსს დუმილით იწმენდს. საერთოდაც, ის ამერიკელი კინოკრიტიკოსების მწარე შეფასებებსა და "კოლამბია ტრისტარსის" გადაწყვეტილებაზე ბევრს, ალბათ, არც ინერვიულებს. რეჟისორი ხომ ერთი წუთისთვის მუშაობს და არა საბოლოო შედეგისთვის. ის ასეც ამბობს: "ვგიჟდები, როდესაც რამდენიმე გონება "შეთქმულებას" მოაწყობს და რაღაც ისეთს გააკეთებს, რაც ნამდვილად ღირს მუშაობად, ანდა, სულაც არც არაფრად ღირს". როგორც ჩანს, გაი რიჩი "გარიყულნის" გადაღებას სწორედ ამ კუთხით მიუდგა და მის თავისებურად "გაშალაშინებაზე" ბევრი არც იზრუნა. საბოლოო ჯამში კი, სუპერვარსკვლავი ცოლისთვის გადაღებული ერთი ჩვეულებრივი (ან, შეიძლება, სულაც საშუალო) კომედია გამოუვიდა.

## ბინები

### იყიდება

იყიდება 3 ოთახიანი სტანდარტული ბინა. მაღალი ჭერით, დიდი აივნით. მეტრო დელისთან. ბუნებრივი აირით, გოგირდიანი წყლით. ტელეფონით. ფასი: 25 000$
ტელ: 39-80-48

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, არასტანდარტული, 132 კვ.მ ბინა ჩიქოვანის 18-ში, V კორპ., ბინა 34, I სართ. ფას: 18000$. ტელ: 98-40-41.

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება ბინა 1,5 გადაკეთებული 2-ად, 5(9) სართ, ბ/ფ 24,5x10 კვ.მ., საერთო ფართი 49,5, აივნით, ბახტრიონის 20, 1-ლი სადარბაზო, ბინ. 14. ფას: 15000$. 38-4398.

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 901729

იყიდება 2-ოთახიანი (გადაკ. 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი კუთხის ბინა. მე-9 სართულზე, საბურთალო, ზაქარიაძის №1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ., 3 აივნით, 2 ტუალეტით. 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა
39-53-41 მარინა
877 495-490

იყიდება ატენზე 6-ოთახიანი ბინა. ფასი შეთანხმებით

იყიდება კეთილმოწყობილი 3-ოთახიანი ბინა ევრორემონტით 8(9), ნაძალადევში. მეუნარგიას 71-ში. 98 59 43

იყიდება 4-ოთახიანი "ჩეხური" ბინა 3(9), დიდ დიღომში, გიორგი ბრწყინვალეს №9-ში. 53 86 83, 8(99) 50 24 57

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

## ბინები

### ქირა, გირაო

ვიქირავებ 1-ოთახიან გარემონტებულ, კომფორტულ ბინას მ. დელისის მახლობლად.
ტელ: 899 51 99 83

გირავდება კეთილმოწყობილი 4-ოთახიანი ბინა მეტრო ნაძალადევთან. 93 04 52, 8(77) 72 85 32

სასწრაფოდ ვიგირავებ 2-ოთახიან ბინას 3000$-ად საბურთალოზე.
ტელ: 78-21-80 (საღამოს საათებში)

**ქირავდება!**

სახლი აღმაშენებლის ქ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

## კომერციული ფართი

**სასწრაფოდ!**

იყიდება მომგებიანი, "ლუდის ბარი" დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინამძღვრიშვილის 198. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 479860. სოსო ან აზა.

## მანქანები

შევიძენ "ფორდ-ესკორტს" ე.წ. "ორიონს". 29-41-49 20 საათიდან, 899 541846.

იყიდება "ოპელ-ომეგა", "CD ბრილიანტი" 1990 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2200-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!). ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

## სწავლება

დიდი სურვილი მაქვს ბაღის ბავშვებს შევასწავლო ქართული ცეკვები. ცნობებისათვის დამიკავშირდით ტელ: 73-66-14. თეა ქვლივაძე.

შევასწავლი ინგლისურ ენას შეღავათიან ფასად. ტელ: 31-50-54 (დილა-საღამოს).

შევასწავლი ინგლისურს და კომპიუტერს სახლში უმაღლეს დონეზე. 37-98-98, რომა.

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Excell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში. 38 44 43, 61 29 76

## სხვადასხვა

იყიდება კომპიუტერი – "სონი", კარგ მდგომარეობაში, ათი დისკით და ერთი ჯოისტიკით. ფასი 100$. ტ: 39-35-44.

ვიმუშავებ კერძო ბაღში მაღალი ანაზღაურებით. ტელ: 31-55-81 ეკა.

გვესაჭიროება რეალიზაციის აგენტები. ანაზღაურება გამომუშავებით + პრემია. მის: კოსტავას №10. ტელ: 93-19-45.

კვალიფიციური იურიდიული მომსახურება სასამართლოს ყველა ინსტანციაში. იურიდიული კონსულტაციები. შესაძლებელია სახლში გამოძახებაც. 39-19-69; 877 761 405.

დიდი სიამოვნებით მოვუვლი პატარა ბავშვს. ფასი შეთანხმებით. ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 73-66-14, თეა.

დაგიმზადებთ ყველა სახის უცხოური ავტომანქანის გვერდითა მინებს (ასევე მიკროავტობუსის). 8(99) 24 40 32

იყიდება კაპიტალური ავტოფარეხი ფალიაშვილის 48-ში. 23 35 12, 8(99) 28 99 66

## ქირავდება!

### კომერციული ფართი ვერაზე

საუკეთესო საოფისე (კომერციული) ფართი 1 სართულზე, ქუჩიდან იზოლირებული შესასვლელით, საერთო ფართი 110 კვ.მ.

მისამართი: ქიაჩელის ქ. 10 (რესპუბლიკის მოედანთან)

ტელ: 94-01-96, მობ. 899 518007

## საქართველოში მომუშავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების საყურადღებოდ

საქართველოს პარლამენტის აპარატის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ა.წ. 1 ნოემბრიდან იწყებს საქართველოს პარლამენტში 2003 წლის ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის განცხადების მიღებას. განაცხადი უნდა შედგეს საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგლამენტისა და პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დებულების დადგენილი წესის მიხედვით.

მადლობელი დაგრჩებით, თუ მასმედიის ხელმძღვანელები, განაცხადთან ერთად, ცალკე ფურცელზე მოგვაწვდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისამართს, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის ნომრებს, აგრეთვე, აკრედიტებულ ჟურნალისტთა კოორდინატებს.

**განცხადების მიღება დასრულდება ა.წ. 1 დეკემბერს.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ ნომრებზე: 99 00 00, 99 99 62

## განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.


15 ოქტომბრიდან ტელეფონით
მიღებული განცხადებების
(12 სიტყვა) ფასი განისაზღვრება
1 ლარით

98-86-43, 53-76-43





## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**მუსიკალურ-კულტურული ცენტრი**
ნოდარ გაბუნიას სახელობის პიანისტთა II ეროვნული კონკურსი
დას. 19:00 სთ

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი
დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, სოლისტები: ნაილა ვან ინგენი, კლარა ჩორდაშვილი

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
პეტერ პერტელი "ამაო სიფრთხილე", ბალეტი ორ მოქმედებად
დირიჟორი თამაზ ჯაფარიძე
დას: 12:00 სთ

**მარჯანიშვილის თეატრი**
"მაყურებლისათვის ამის ნახვა აკრძალულია", რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3-6 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"უსიერ ტყეში", რეჟ. ნინო შოთაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"პროვოკაცია", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**ახმეტელის თეატრი**
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**TMS**
დიმიტრი ერისთავის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ძველი გალერეა**
ლილი მზექალაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**N გალერეა**
კარლო კაჭარავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

**გალერეა „ვერნისაჟი"**
ალექსანდრე გრიცაევის ნამუშევრების გამოფენა

**„ქარვასლა"**
ირაკლი ცაბაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"სკუბი დუ"
დას: 13:00, 15:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"ბორნის საიდუმლო", მთავარ როლში მედ დეიმონი
დას: 17:00, 19:00, 21:00 სთ, ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი"**
"პატარა სტიუარტი"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ნიშნები", რეჟ. ნაით შამალანი; მთავარ როლში, მელ გიბსონი
დას: 19:00; 21:00 სთ; ფასი 7 ლარი

## სკანდინავიური კროსვორდი








# ქეთი ლორთქიფანიძე - ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ლამაზი

ანა კორძაია-სამადაშვილი

გაზეთ “24 საათისა” და მოდელების სააგენტო “იმიჯ-ცენტრის” მიერ გამოცხადებული სილამაზის კონკურსი, “მის ფოტომოდელი 2002”, ჩვენი მკითხველების წრეში სულ უფრო პოპულარული ხდება. ამაზე, უპირველეს ყოვლისა, სასურველი კანდიდატურებისათვის ხმის მისაცემად ამოჭრილი და ჩვენს გაზეთში მოტანილი, თუ გამოგზავნილი ბარათების რაოდენობა მეტყველებს.

დღეს ამ უკანასკნელი კვირის გამარჯვებულს, ქეთი ლორთქიფანიძეს გაგაცნობთ – მის მხარდამჭერთა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

თუმცა ინტერვიუს ასაღებად მისულმა მისი ასაკი ვიცოდი, ქეთის დანახვამ მაინც გამაოცა – ძალიან ახალგაზრდაა, სპილენძისფერი თმის ვარცხნილობაც პატარა გოგოსი აქვს.

ქეთი ამჟამად წმინდა ნინოს სახელობის 47-ე საშუალო სკოლაში სწავლობს. სკოლის დამთავრების შემდეგ მას სამედიცინო კოლეჯში უნდა სწავლის გაგრძელება. რასაკვირველია, არც მოდელობისთვის აპირებს თავის დანებებას – “იმიჯ-ცენტრი” მოსწონს, აქაურობას შეეჩვია და, როგორც ჩანს, ფრიად კმაყოფილია თავისი ამჟამინდელი საქმიანობით.

ქეთი 6 წლის ასაკიდან ცეკვავს. ცეკვა ყოველთვის უყვარდა და დედ-მამამაც სიხარულით შეუწყო ხელი მისი სურვილის ასრულებას. დაახლოებით წელიწადნახევრის წინ კი, როცა ქეთი უკვე “ერისიონის” მოცეკვავე იყო, დედის მეგობარმა, რომელიც ამავე დროს “იმიჯ-ცენტრის” ხელმძღვანელს, ქალბატონ ია კიწმარიშვილსაც იცნობს და მაშინაც იცოდა სააგენტოს საქმიანობის შესახებ, მოდელების სააგენტოში მისვლა შესთავაზა. ასე მოხვდა ქეთი “იმიჯ-ცენტრში”. ის ჯერ დაწყებით კურსზე სწავლობდა, შემდეგ კი მშვენიერი გარეგნობის მქონე, გრაციოზული და არტისტული პატარა ქალბატონი ძირითად ჯგუფში გადაიყვანეს.

ქეთის საყვარელ ცეკვას საშიში კონკურენტი გამოუჩნდა – მოდელის პროფესია ხომ არანაკლებ მიმზიდველია. ამ საქმიანობას განსაკუთრებულ ხიბლს ისეთი “ზექალების” არსებობა მატებს, როგორიც, მაგალითად, ქეთი ლორთქიფანიძის სათაყვანო ნაომი კემპბელი გახლავთ. ამიტომ, ცეკვამ მეორე პლანზე გადაინაცვლა. არცაა გასაოცარი – ქეთი ლორთქიფანიძე ამ ხელოვნებას უკვე დაუფლებულია, წინ სხვა მწვერვალები ელის, მათ დაპყრობაში კი, იმედია, “იმიჯ-ცენტრი” დაეხმარება.

“იმიჯ-ცენტრში” სწავლა არცთუ იოლია – მოდელს ხომ გარეგნობის გარდა შრომისმოყვარეობა და მოთმინებაც მოეთხოვება. არც “მის ფოტომოდელი 2002-სთვის" სურათების გადაღება იყო უბრალო გართობა: საათობით პოზირება საკმაოდ დამღლელია. “გავუძელი,” გამიღიმა ქეთიმ.

კონკურსანტებს შორის ქეთი ყველაზე ახალგაზრდაა. ”სხვები უფროსები იყვნენ და ჩემზე ბევრად მეტად გამოცდილები,” მიამბო მან. “ამიტომ, არც მიფიქრია, რომ ხმათა უმრავლესობით გავიმარჯვებდი.”

მიუხედავად ამისა, გაიმარჯვა. გილოცავთ, ქეთი! ვფიქრობ, შენი ოცნების ასრულებას – სასახელო გოგო იყო – წინ არაფერი უდგას, და კიდევ მრავალი წარმატება გელის.




## TV პროგრამა 10 ნოემბერი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი “სამნი”
11.50 ველური ბუნება
12.50 მხ.ფილმი
14.35 სიმფსონები
15.05 მხ. ფილმი
17.10 იქს მუტანტები
18.00, 21.00, 00.40 კურიერი
18.20 მხ. ფილმი
20.00 სუფთა ინგლისური მკვლელობა
21.00 60 წუთი
22.25 ჩვენი ეზო
22.45 “ჯეოსელის კინოკლუბი” - “ძირითადი ფერები” 8 77 45-79-25 ჯონ ტრავოლტა, ემა ტომპსონი, “საძაგელი კოიოტი” 8 77 45-79-26 ადამ გარსია, მარია ბელო, “უძილობა” 8 77 45-79-27 ალ პაჩინო, რობინ უილიამსი
00.50 მხ.ფ. “ბრიჯიტ ჯონსის დღიურები” მთ. როლებში რენე ზელვეგერი, ჰიუ გრანტი
03.00 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 “მოამბე”
08.15 მხ. ფილმი “ჯონი მნემონიკი”
09.45 მულტსერიალი “უკანასკნელი ნაკრძალი”
10.00 დილის პაემანი
11.05 “დიდი დასვენება”
11.35 “მოგზაურობა სასიტყვეთში”
12.05 “სპა”
12.35 “პრეს-სტუდია”
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 “ღამის ჯაზი”
14.25 “არათბილისური ამბები”
15.00 ჩემპიონატის ტურის ცენტრალური მატჩი: თბილისის “ლოკომოტივი” - თბილისის “დინამო”
16.50 სიმონ სხირტლაძე
17.30 საკვირაო გამოფენა
17.40 ტელეზღაპარი
18.00 “ტაიმ-აუტი”
18.20 “სახსოვარი”
18.55 “ოქროს ვექტორი”
19.25 “ჩვენი მისამართია”
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 “ამბობენ”
21.25 “მაგთის იუბილე”
22.15 სერიალი “ცისფერი ველოსიპედი”
23.05 ჩემი მშვენიერი ლედი
23.25 ქართ. მხ. ფილმი “ამოკი”
00.40 “ტაიმ-აუტი”
01.10 მხ. ფილმი “დათვლილი დღეები”

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
09.00 “მუსიკალური ათეული” გამეორებით
10.00 “ტოროლა”
13.00 “ვიდეო-რადიო” განმეორებით
14.00 “კომედია” მხ.ფ. “ავანსცენა”
16.00 “უცნობი”
17.00 მუსიკა
19.00 ქართული მუსიკა
19.30 “ვიდეო-რადიო”
21.00 რომანტიკული მუსიკა
22.00 ინფორმატორი
23.00 “ცენტრი”
00.00 “ბრავო” მხ.ფ. “ლამაზმანი”.
01.40 ღამურა “ბაფალო 66”.
03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00 მულტფილმი
19.30 დიზაინი
19.50 “ტალანტები და თაყვანისმცემლები”
20.30 საქართველოს მატიანე
21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნევ
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი “ეშმაკისეულნი”
00.25 ჰიტ-პარადი

### ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 - 19.00 რელიგიის საათი
19.00 დოკ. ფილმი
20.00 შეხვედრა ვარსვლავთან
20.20 მოგზაურობა ბავშვობაში
20.40 თავისუფალი მიკროფონი
20.50 თქვენი აზრით
22.00 “იდენ-ტვ”
22.30 მხ. ფილმი “ჯოჯოხეთიდან ჯოჯოხეთში”
00.30 მსოფლიო სპორტი

### იბერია

08.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი. მუსიკა
08.30 მხ. ფილმი “ფანფან - ტიულპანი”
10.15, 12.30, 21.55, 00.45 მუსიკა
10.20 მხ.ფ. “ლენი”
13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით)
20.00 მხ.ფ. “ბიჭები ბრუნდებიან”
22.15 მხ.ფ. “ჩვეულებრივი ადამიანები”
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი “მუმია 2”
14.00 მხ. ფილმი “40 დღე და 40 ღამე”
15.30 მხ. ფილმი “ლტოლვილი”
17.00 მხ. ფილმი “ოცნების ზღვარი”
19.00 ინდ. მხ. ფილმი “სიკვდილთან თამაში”
22.00 მხ. ფილმი “მორიელთა მეფე”
00.20 მხ. ფილმი “გველის კოცნა”

### მეცხრე არხი

09.00 “დღის ამბები”
09.20, 18.50, 19.15, 21.45, 00.00 მუსიკა
09.30 მულტფილმი “ბანანის ზოოპარკი”
10.00, 15.00 “დილა”
11.00 საბავშვო სერიალი “ჰორასი და თინა”
11.30 “ევროპის სტადიონებზე”
12.00 საუბრები სტუდიაში
12.50 მხ. ფილმი “ურტყი ძვალში”
14.50 მულტფილმი “ტომი და ჯერი”
16.00 მხ. ფილმი “ბაზა - 2”
17.40 მულტფილმი “ტომი და ჯერი”
18.00 გადაცემა “საუბრები სტუდიაში”
19.00 მაცაცერა
19.30 “მსოფლიო ფეხბურთი”
20.00 ქართ. მხ. ფილმი “პასტორალი”
22.00 სანახაობა “ყოჩაღები”
22.15 მხ. ფილმი “იქნებ დამეხმაროთ”
00.20 მხ. ფილმი “დუბლიორი”

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 სათავგადასავლო ფილმი “ბანზაი”
11.10 “ყველანი ვართ პატარები”
11.20 Слово
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია “ადამიანი-რეპტილია”
13.40 მელოდრამა “არასოდეს არ ტირის ჯარისკაცის ქალიშვილი”
16.15 მულტფილმი “ეგვიპტის პრინცი”
17.50 მხატვრული ფილმი “ათი ზანგის ბიჭუნა”
19.20 მელოდრამა “სიცოცხლე და მეტი არაფერი”
22.00, 00.00 “დღეს”
22.30 Новости в воскресенье
23.00 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი “ბურთი და მოედანი”
00.30 Новости в воскресенье
00.50 მელოდრამა “ლამაზმანი”
03.30 მხატვრული ფილმი “სადგური ორისათვის”

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

Visage

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLLI ENGINEERING

მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური899-56-18-52

# წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

[illegible]

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

[illegible]

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

[illegible]